ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 16 სექტემბერი, №15 (6500)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

საქართველოს პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა

საქართველოს პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, მთავრობის განახლებულ შემადგენლობას და „სამთავრობო პროგრამას 2019 – 2020“ მხარი 98 ხმით დაუჭირა.

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე უძღვებოდა, მთავრობის განახლებული შემადგენლობისა და პრემიერმინისტრობის კანდიდატისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურის ბოლო ეტაპი გაიმართა. საპარლამენტო ტრიბუნა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა, გიორგი გახარიამ დაიკავა.

„მე დღეს შევეცდები პრინციპულ, საკვანძო ფასეულობებზე და მთავრობის ძირითად განზომილებებზე ვისაუბრო. ჩვენ ძირითადად ორიენტირებული ვიქნებით საქმეზე, შედეგებზე და ეფექტურობაზე. ეს იქნება ჩვენი ძირითადი პრინციპები და ხალხის ხმა იქნება ჩვენი ძირითადი მაკოორდინირებელი ძალა. მიზნის მისაღწევად, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ერთად, მთავრობამ, პარლამენტმა, ხელისუფლებამ მთლიანად და მათ შორის, ოპოზიციამ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერმინისტრობის კანდიდატმა პარლამენტის წევრებს სამთავრობო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები წარუდგინა.

მისი განცხადებით, ეფექტურობა გონივრულ ვადებში და კეთილსინდისიერება იქნება მთავრობის მუშაობის ძირითადი პრინციპი. გიორგი გახარიამ მთავრობის პრიორიტეტებზე საუბრისას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კორუფციასთან ბრძოლა დაასახელა.

მან ასევე გაამახვილა ყურადღება სიმართლის მნიშვნელობაზე. მისი თქმით, სიცრუით და მოდელირებული რეალობით მოქალაქეებზე ზემოქმედება არ უნდა ხდებოდეს.

მან ამ კონტექსტში ისაუბრა ოკუპაციის პრობლემაზე და აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომლებიც მდუმარე პასუხისმგებლობას მაინც უნდა გრძნობდნენ ოკუპაციაზე, ხელისუფლებას დებენ ბრალს ოკუპაციის შეფასებაში, რაც მისივე თქმით მიუღებელია და ამას ხელისუფლებამ სიმართლე უნდა დაუპირისპიროს. „სამართლიანობა, რომელსაც ჩვენ სიმართლის სახით მივიტანთ თითოეულ მოქალაქემდე არის ის ძირითადი კომპონენტი, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას ვიყოთ უფრო მომთხოვნები, როგორც ჩვენი ოპონენტების, ისე ჩვენი თანაგუნდელების მიმართ“, – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება და ადამიანური კაპიტალის განვითარება, ქვეყნის განვითარების იმ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად დაასახელა, რომელზეც მთავრობა 2019-2020 წლების განმავლობაში იქნება კონცენტრირებული.

უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად, გიორგი გახარიას განცხადებით რჩება ქვეყნის ოკუპაცია. „როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი არის ოკუპირებული, აქვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკის, ქვეყნის განვითარების, ქვეყნის ადამიანური კაპიტალის 20 პროცენტია ოკუპირებული და ამაშია სწორედ ჩვენი უსაფრთხოების ყველაზე დიდი გამოწვევა“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, ხელისუფლება ოკუპაციის პრობლემის მოსაგვარებლად, ომის გარდა გამოიყენებს ყველა ინსტრუმენტს.

გიორგი გახარიამ ისაუბრა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული და ევროატლანტიკური კურსი რჩება ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად და ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი პროგრესი და ხელშესახები შედეგები.

საზოგადოების რადიკალიზაციის მაღალი დონე, გიორგი გახარიამ ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაასახელა. მისი თქმით, საპარლამენტო დემოკრატია რადიკალიზაციის ასეთ ხარისხთან არათავსებადია.

„ჩვენთვის მიუღებელია, როდესაც პოლიტიკური ძალა პარლამენტზე შტურმს ეძახის გამოხატვის თავისუფლებას და იმ ადამიანებს, რომლებიც პირდაპირ მოუწოდებდნენ ხალხს, რომ შეჭრილიყვნენ სახელმწიფო ინსტიტუტში, პოლიტიკურ დონეზეც არ უნდათ პასუხისმგებლობის აღება. ამ ქვეყანაში ძალადობით პოლიტიკური შედეგების და პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილება აღარ უნდა მოხდეს არასოდეს. ამისთვის არსებობს პარლამენტი და არჩევნები“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ეკონომიკური მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საუბრისას დასაქმების პრობლემის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის მთავრობისეულ ხედვებზე ისაუბრა.

ასევე გაამახვილა ყურადღება თავისუფალი და ეფექტური ბიზნესის არსებობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას თანაბარი და მისაღები პირობები ბიზნესის განვითარებისთვის, რათა ბიზნესმა, რომელიც გაძლიერდება და შექმნის სამუშაო ადგილებს, აიღოს სოციალური პასუხისმგებლობა დასაქმებულების წინაშე.

მომხსენებელმა ისაუბრა ინფრასტრუქტურის, საგარეო ვაჭრობის, სახელმწიფო რესურსების უკეთესად ამოქმედების, ენერგოუსაფრთხოების, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის და საპენსიო რეფორმირების მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე.

„სახელმწიფოს როლია და ძირითადი ფუნქცია, რომ ყველას შეუქმნას თანაბარი პირობა, იმისათვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის წინსვლაში. ჩვენი ხელისუფლების როლია, რომ შევქმნათ ყველა პირობა თითოეული სოციალური ჯგუფისთვის, რომ ერთად შევძლოთ პასუხისმგებლობის ტარება ჩვენი ხვალინდელი დღის, ჩვენი ბავშვების წინაშე, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს იყოს უკეთესი, ვიდრე გუშინ და ხვალ უკეთესი ვიდრე არის დღეს“, – განაცხადა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ.

სხდომა, რეგლამენტის თანახმად, კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა.

პარლამენტის წევრების შეკითხვები მედიკამენტების ფასების რეგულაციის მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებს, განათლების რეფორმის გაგრძელების პერსპექტივებს, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და დეოკუპაციის გრძელვადიან ხედვებს, ახალგაზრდული და სოციალური პოლიტიკის მიმართულებებს, სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ხარვეზების აღმოფხვრას, სამინისტროების სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლებლობების საკითხს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დაგეგმილ პროექტებს, მთავრობასა და ბიზნესს შორის დამოკიდებულებას, ეროვნული ვალუტის მდგრადობის საკითხებს, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამას და ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხებოდა.

პარლამენტის წევრების შეკითხვებს გიორგი გახარიამ და მინისტრობის კანდიდატებმა ვრცელი და დეტალური პასუხები გასცეს.

რეგლამენტით დადგენილი წესის თანახმად, სხდომა კომიტეტების, ფრაქციების და ცალკეული დეპუტატების გამოსვლებს დათმო.

...წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს...

16 სექტემბერს საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. როგორც ვიცით, ძალიან ბევრი სიახლეა საგანმანათლებლო სისტემაში, რის შესახებაც გვესაუბრა ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი ქეთევან ჭიპაშვილი.

– ქალბატონო ქეთევან, როგორ ხვდება ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები ახალი სასწავლო წლის დადგომას, რა სიახლეები დახვდებათ მოსწავლეებს. საუბარია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ. რა ხდება ამ მხრივ და რას გულისხმობს ეს ცვლილებები?

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ძალიან დიდი ცვლილებები დაიწყო განათლების სისტემაში, მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხებზე ვისაუბრებდე, მინდა მივულოცო ყველა იმ ახალგაზრდას, რომლებიც სტუდენტები გახდნენ და ცხოვრების ახალ ეტაპზე შედგეს ფეხი. ასევე, უდიდესი მადლობა გადავუხადო იმ პედაგოგებს, რომლებმაც პროფესიიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო..თქვენ აღზარდეთ თაობები და თქვენი ღვაწლი ფასასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის წინაშე. მადლობა დაუღალავი შრომისათვის.

ახალი 2019-2020 სასწავლო წელი ყვარლის მუნიციპალიტეტის (21 საჯარო სკოლა) საჯარო სკოლებში 16 სექტემბერს დაიწყება. ოცდაერთივე საჯარო სკოლა განახლებული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ხვდება ახალი სანავლო წლის დაწყებას. სიახლეები ძალიან ბევრია, გამოვყოფ მნიშვნელოვანს, დავიწყოთ სასწავლო გეგმით: მთავარი სიახლე ეხება მეშვიდე კლასს, სადაც ყველა საგანში პროგრამები არის არსებითად განახლებული. ემატება ახალი საგანი „მოქალაქეობა„, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კომბინირებული კურსი იშლება, ფიზიკა და ბიოლოგია შემოდის მეშვიდე კლასიდან, ქიმია კი მერვე კლასიდან დაემატება.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

... ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ, ბავშვებისთვის უზრუნველყოთ მყუდრო და კომფორტული გარემო ...

ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს ზაზა ზაუტაშვილს.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევით 2016 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა კანონი, რომელიც აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს; განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას.

დადგინდა აგრეთვე შენობების, გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტები.

თუ რა ხდება ამ მიმართებით ყვარლის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში, რამდენად აკმაყოფილებენ სტანდარტებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ამ თემებზე საუბარი ვთხოვეთ ყვარლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს მთავრობისათვის ნდობის
გამოცხადების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ნდობა გამოეცხადოს საქართველოს მთავრობას შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი – გიორგი გახარია
ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი – მიხეილ ბატიაშვილი
გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – ლევან დავითაშვილი
დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – ნათელა თურნავა
ე) საქართველოს თავდაცვის მინისტრი – ირაკლი დარიბაშვილი
ვ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი
ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ეკატერინე ტიკარაძე
თ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – მაია ცქიტიშვილი
ი) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი – დავით ზალკალიანი
კ) საქართველოს ფინანსთა მინისტრი – ივანე მაჭავარიანი
ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი – ვახტანგ გომელაური
მ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში – ქეთევან ციხელაშვილი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე

თბილისი,
2019 წლის 8 სექტემბერი.
№4942 – Iს

დამსახურებული აღიარება

ქალბატონ ნუნუ ჩახნაშვილს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა

ბედნიერებაა, როცა ღვაწლმოსილი ადამიანების ფასი იცის საზოგადოებამ, რომელთა გაწეული შრომა შეუფასებელია ამ ცხოვრებაში, რაც მათ სახელს დიდების შარავანდედით ამკობს.

ასეთ ვალმოხდილ ადამიანთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ყველა ყვარელისათვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება ნუნუ ჩახნაშვილი – სანიმუშო და თითით საჩვენებელი პედაგოგი, რომელმაც საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას სახალხო განათლების სფეროში მაღალპროფესიული და უანგარო მოღვაწეობით მიაღწია.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის სფეროში გაწეული საქმიანობის შეფასება ძალზე ძნელია, რადგან ამ ღვაწლის მნიშვნელობა ვერც სიტყვით აიწონება და ვერც კალმით მოიხაზება. უკვე 60 წელია რაც ღირსების გრძნობით ატარებს მასწავლებლის საპატო და საპასუხისმგებლო წოდებას და ამ დროის მანძილზე ყოველთვის მონოდების სიმაღლეზე იდგა, მიუხედავად ეპოქისა და დროის ცვალებადობისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად შეიძლება იხილოთ ქართველი ქალი და მასწავლებელი, რომელსაც ქალბატონ ნუნუზე მეტად ჰყვარებია თავისი ქვეყანა, ქართველი ერი და თავისი მოსწავლეები, რისთვისაც მზად იყო გაეღო ყოველივე, რაც კი ებადა და აკი ასეთი გულმხურვალე სიყვარულით მოვიდა კიდეც დღემდე. იგი ყოველთვის თავისი აღსაზრდელების ცხოვრებით ცხოვრობდა, მათი ტკივილი სტკიოდა და მათი სიხარულით ხარობდა.

სამოცი წელი მთელი ეპოქაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში და ამ ხნის განმავლობაში ერთგულად და რუდუნებით ემსახურო ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს – ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. რამდენი შრომა, რამდენი ფიქრი, რამდენი უძილო ღამე, რამდენი ტკივილი თუ სიხარულია ჩაქსოვილი ამ ექვს ათეულ წელში, წარმოსადგენადაც კი ძნელია. მუდამ კეთილგანწყობილი, კაცთმოყვარე, სიკეთით სავსე, მოფუსფუსე, აქტიური, სხვისი ჭირისა თუ ლხინის მოზიარე – ასეთი იყო ყოველთვის ნუნუ მასწავლებელი და ასეთია ახლაც!

დღეს კი სავსებით კანონზომიერად მოვიდა მისი დიდი ღვაწლის აღიარება – ქალბატონ ნუნუს, ყვარლის I საშუალო სკოლის მასწავლებელს, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება!

უკეთილშობილესმა მანდილოსანმა და ყველასათვის საყვარელმა მასწავლებელმა მიიღო ის ჯილდო და დაფასება, რასაც იმსახურებდა.

ცხოვრების კანონზომიერებაც ხომ სწორედ ამას გვკარნახობს: დიდი ვაჟას ცნობილი გამონათვამისა არ იყოს – „ავსა და კარგსა კაცისას, როდი ივიწყებს სოფელი!„

გულწრფელად ვულოცავთ ქალბატონ ნუნუს მისი ღვაწლის ესოდენ ღირსეულად დაფასებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ამ აღიარებამდე ქალბატონმა ნუნუ ჩახნაშვილმა საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. დაიბადა 1936 წელს გლეხის ოჯახში. ყვარელი იყო მისი აკვანი და პირველი ნაბიჯებიც ყვარლის მიწაზე გადადგა, ანუ ყველაფერი პირველი ყვარელთან აკავშირებს. 1944 წელს გახდა ყვარლის I საშუალო სკოლის მოსწავლე. შემდეგ გადადის ყვარლის მეორე საშუალო სკოლაში, ხოლო მეათე კლასიდან სწავლას აგრძელებს საბუის საშუალო სკოლაში, რომელსაც ამთავრებს ოქროს მედალზე 1954 წელს. ამავე წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1959 წელს. სხვათა შორის, თავისი ნიჭისა და აქტიურობის წყალობით მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. თსუ-ს ცნობილი მათემატიკოსი, პროფესორი ადამ ჩახტაური მას რეკომენდაციას უწევდა ფიზიკა-მათემატიკის კათედრაზე დასატოვებლად, მაგრამ ქალბატონ ნუნუს ისევ ყვარელში მოუწევდა გული და მშობლიურ ქალაქში ბრუნდება. 1959 წელს იგი დაინიშნა ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის I საშუალო სკოლის მასწავლებლად. ასწავლიდა მათემატიკას და ასტრონომიას. პარალელურად ასრულებდა განათლების განყოფილების შტატგარეშე ინსპექტორის მოვალეობას. სხვადასვა წლებში იყო სკოლის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში. 1981 წელს ინიშნება I საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე და 24 წლის განმავლობაში წარმატბით ასრულებს ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას 2005 წლამდე, როცა დირექტორის თანამდებობას ტოვებს საპენსიო ასაკთან დაკავშირებით, მაგრამ აგრძელებს სკოლაში მასწავლებლად მოღვაწეობას.

მისი დირექტორობის პერიოდში, რომელიც სხვათა შორის, დაემთხვა გარდამავალ პერიოდს და ერთობ მძიმე 90-იან წლებს, მიუხედავად მრავალი სირთულისა, განუკითხაობისა და განსაცდელისა, მან შეძლო ყველანაირი პრობლემების დაძლევა და ურთულეს გარემოებაში სკოლის ჭეშმარიტი სახის შენარჩუნება. ამდენად, ფასდაუდებელია მისი ღვაწლი სკოლისა და თითოეული მოსწავლის მიმართ.

მცირე საინტერესო და ლირიკული გადახვევა: ქალბატონი ნუნუ სხვა ყველაფერთან ერთად, ახალგაზრდობის წლებში წარმატებული სპორტსმენიც გახლდათ. იყო ყვარლის რაიონის ჩემპიონი მძლეოსნობის ორ სახეობაში – სიმაღლეზე ხტომასა და100 მეტრზე სირბილში. ამიტომაც ღმერთმა ისე ინება, რომ ცხოვრებაშიც სპორტული ოჯახის დედობა არგუნა ბედმა: მისი მეუღლე, ყვარლის ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ზაურ ჩახნაშვილი სახელგანთქმული მეკარე იყო, ხოლო ერთადერთი პირმშო, ან განსვენებული დათო ჩახნაშვილი ჩვენი რაიონის ნაკრები გუნდის წევრი და შესანიშნავი ფრენბურთელი გახლდათ.

მის ცხოვრებაში იყო კიდევ ერთი დაუვიწყარი ეპიზოდი: 2015 წლის ილიაობის დღესასწაულზე ქალბატონ ნუნუ ჩახნაშვილს, როგორც წარატებულ და ღვაწლმოსილ პედაგოგს, ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ეს ფაქტიც დასტურია იმისა, რომ გამორჩეული პიროვნებები საზოგადოების ყურადღების მიღმა არ რჩებიან.

ასეთია ქალბატონი ნუნუ ჩახნაშვილის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და განვლილი ცხოვრების გზა. რა თქმა უნდა, დიდი სიხარული და ბედნიერებაა, როცა ამაგი გიფასდება და შენი მოღვაწეობა ყველასთვის მისაბაძი მაგალითი ხდება, მაგრამ როგორც თავად ქალბატონი ნუნუ ბრძანებს, მისთვის ყველაზე დიდი სიხარული მისი აღზრდილებისა და აღსაზრდელების სიყვარულია. და ჩვენც ვეთანხმებით ამაში – მასწავლებლისათვის შუძლებელია ამაზე ძვირფასი სხვა რამ არსებობდეს! ქალბატონი ნუნუ ამასთან ერთად, მიიჩნევს , რომ მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შესაფასებლად ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მოსწავლეების აზრია. ხოლო თუ როგორ აფასებენ მის პიროვნებას და საქმიანობას მისი აღზრდილები და აღსაზრდელები ამის დასტურად შემდეგი მაგალითებიც იკმარებდა:

„ სიტყვები ძნელად მომეპოვება იმისათვის, რომ ზუსტად ავღწერო ჩემი თვალით დანახული ნუნუ მასწავლებელი... არისტოკრატიული გარეგნობა, დახვეწილი მანერები, მკაცრი, მაგრამ მუდამ სამართლიანი... ეს არის იმ თვისებების მცირე ჩამონათვალი, რომელიც გვხიბლავს ნუნუ მასწავლებელში. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი მერქვას ქალბატონ ნუნუ ჩახნაშვილის მოსწავლე. ქალის, ვინც აღზარდა მრავალი ღირსეული ადამიანი და რომელიც კიდევ გაზრდის საამაყო თაობებს“(ანა სეფაშვილი მე-12 კლასი).

„ნუნუ მასწავლებელს გაუმარჯოს! ახლა ვხვდები, როგორი ძლიერი და მდიდარი ხართ. თქვენ ყველა მოსწავლეს თანაბრად უნაწილებთ არამარტო ცოდნას, არამედ სითბოს და სიყვარულს, თანადგომას და თანაგრძნობას.

ნუნუ მაწავლებელო, თქვენ ნამდვილად ალამაზებთ და ახალისებთ ყვარლის I სშუალო სკოლას. თქვენ სჭირდებით სკოლას, მინდა ასე გაგრძელდეს კიდევ დიდხანს. გწამდეთ, გჯეროდეთ – გვახსოვხართ, გვიყვარხართ!“ (ნინო ძამსაშვილი, 2007 წლის კურსდამთავრებული).

ეს მხოლოდ ოროიდე მაგალითია იმ უთვალავი წერილებიდან, ქალბატონი ნუნუსათვის რომ მიუძღვნიათ მის მოსწავლეებს. ამ ორიოდე მაგალითში ნათლად იხატება მთელი იმ 60 თაობის სულისკვეთება, ვინც მის ხელში გაიარა ექვსი ათეული წლის მანძილზე.

მოსწავლეობის პერიოდში ქალბატონი ნუნუს შესახებ სკოლის დირექტორსა და მათემატიკის მასწავლებელს უთქვამთ: „ამ ბავშვისაგან დიდი მათემატიკოსი გამოვაო„. უნივერსიტეტში კათედრაზე თუ დარჩებოდა, დიდი ალბათობით, ასეც მოხდებოდა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ყვარელში მოღვაწეობა არჩია. ასე, რომ დიდი მათემატიკოსი ვერა, მაგრამ დიდი პედაგოგი და სამაგალითო მასწავლებელი რომ გამოვიდა, ეს უკვე დადასტურებული და უტყუარი ფაქტია!

სწორედ ამის დასტურია ის აღიარებაც, მისთვის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებაში რომ გამოიხატა!

კიდევ ერთხელ სულით და გულით ვულოცავთ ქალბატონ ნუნუ ჩახნაშვილს ამ საპატიო წოდების მინიჭებას!

და მადლობას ვუხდით: კარგი მამულიშვილობისათვის, სილამაზისა და ნიჭიერებისათვის, სანიმუშო მასწავლებლობისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში ექვსი ათეული წლის განმავლობაში გაწეული დაუღალავი შრომისათვის!

ჯანმრთელობას და კიდევ დიდი ხნის მოღვაწეობას გისურვებთ!

ალიმან ლაფაჩიშვილი

... ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ, ბავშვებისთვის უზრუნველყოთ მყუდრო და კომფორტული გარემო ...

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

– ბატონო ზაზა, როგორი მდგომარეობაა საბავშვო ბაგა-ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, რამდენ შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და თუ განახლდა ინვენტარი?

– ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა ეტაპობრივად უმჯობესდება. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდათ ყვარლის №1, ახალსოფლის №1 და გრემის №1 ბაგა-ბაღებს. ამავე დროს 16 საბავშვო ბაგა-ბაღში გარემონტდა და გაფართოვდა სამზარეულოები, სათავსოები, სურსათის უვნებლობის სამსახურის რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. ყვარლის, ახალსოფლისა და გრემის სრულიად განახლებული ბაგა-ბაღების ახალი ინვენტარით აღჭურვის მიზნით გამოვაცხადეთ ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება ახალი ინვენტარის შეტანა. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის „ფორდ-დვიჟენის“ მიერ საჩუქრად გადმოგვეცა სოფელ ენისლის და შაქრიანის ბაგა-ბაღებში ბავშვის საწოლები 36 ცალი, ასევე ლეიბები, საბნები და პლედები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით „ფორდ-დვიჟენის“ ხელმძღვანელს მარი არჯევანიძეს.

– დღეისათვის გათბობის სისტემა რამდენ საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობს და მათ გარეშე დარჩენილ ბაღებში ზამთრის სეზონისთვის მზადება როგორ მიმდინარეობს?

– დღეისათვის 8 საბავშვო ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე მოუშვე ცენტრალური გათბობის სისტემები. დანარჩენი ბაგა-ბაღების ზამთრის სეზონისათვის გათბობის უზრუნველსაყოფად ტენდერის საშუალებით მოვახდენთ ბრიკეტების შეძენას, რომელიც შეშასთან შედარებით ეკოლოგიურად სუფთაა და წვის შემდგომ ნაცარსაც კი არ ტოვებს. ყოველწლიურად ჩვენს დაწესებულებებში 150 კუბურ მეტრამდე შეშა შეგვქონდა, ბრიკეტების გამოყენებით განადგურებას გადაურჩება ასობით ხე-მცენარე.

– რა ღონისძიებები გაატარეთ იმისათვის, რომ ბავშვთა კვების მენიუ ნატურალური პროდუქტებით შეივსოს?

– რადგანაც კვების სისტემა უნიფიცირებულია ჩვენს გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაგა-ბაღისათვის, შესაბამისად კვების ორგანიზებისათვის ზოგადი მოთხოვნებიც გათვალისწინებული გვაქვს. ჩვენს სისტემაში დავნერგეთ ჯანსაღი კვების პირამიდა, სურსათის ულუფებიც და მოცულობაც შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. თუ ეჭვი გაგვიჩნდა რომელიმე პროდუქტზე, ვამოწმებთ და ვატარებთ ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

– სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფისთვის რა გაკეთდა და რომელ ბაღში დარჩა პრობლემად?

– რაც შეეხება სასმელი წყლის სისტემებს, ყველა ბაგა-ბაღში მონესრიგებულია, გვაქვს სამარაგო ავზებიც. წელიწადში ორჯერ ვახდენთ წყლის სინჯების აღებას და ლაბორატორიულად (ქიმიურ, ბიოლოგიური ანალიზი) მოწმდება.

– როგორია დღეისათვის სანიტარული მდგომარეობა და თუ პასუხობს დაწესებულ სტანდარტებს?

– დღეისათვის გაერთიანებაში შემავალ ყველა ბაგა-ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს.

– ბავშვთა რაოდენობამ თუ მოიმატა და სად როგორი მდგომარეობა?

– უფლის წყალობით ბავშვთა კონტიგენტის მატება მოხდა რამოდენიმე ბაგა-ბაღში.

– განათლების სისტემაში ახალგაზრდა კადრების დეფიციტია, თქვენთან როგორი მდგომარეობაა?

– კადრების დეფიციტს მართლაც აქვს ადგილი, აღმზრდელთა შორის არიან დამსახურებული საპენსიო ასაკის ქალბატონები, რომელთა ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლება აუცილებელია მოხდეს მომავალში.

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი თუ მიენიჭათ და მათი გადამზადება თუ მოხდა?

– დღეის მდგომარეობით აღმზრდელებს ჯერ არ გაუვლიათ აღმზრდელ-პედაგოგის სასერთიფიკაციო ტრენინგები, რომელიც 2024 წლამდე უნდა განხორციელდეს და შესაბამისად ანაზღაურების გაზრდაც მოხდება შემდგომ ეტაპზე.

მიუხედავად ამისა ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ ბავშვებისათვის უზრუნველყოთ მყუდრო და კომფორტული გარემო, სადაც სწავლა სახალისო იქნება, სხვადასხვა შემეცნებითი-გასართობი თამაშების მეშვეობით კი განვუვითარებთ ცნობისმოყვარეობას, რათა ჩამოუყალიბდეთ ობიექტური შეხედულებები სამყაროს მიმართ.

– ახალი წლიდან რა სიახლეებს სთავაზობთ ბავშვებს, განსაკუთრებით მათი ცოდნის გაღრმავების მიზნით, თუ ახორციელებთ „სასკოლო მზაობის პროგრამას“?

– გვყავს სერთიფიცირებული მეთოდისტები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

...წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს...

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

შემუშავდა ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ცვლილება შეეხო საათობრივ ბადეს, რომელიც მეტ თავისუფლებას აძლევს საჯარო და განსაკუთრებით, კერძო სკოლებს.

უფრო დეტალურად კი დავიწყებ სახელმძღვანელოებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა შარშან I-VI კლასებში დაინერგა და, შესაბამისად, ყველა ამ კლასის სახელმძღვანელოები შეიცვალა. წელს მხოლოდ მეშვიდე კლასზე იყო კონკურსი გამოცხადებული და სექტემბრიდან უკვე მეშვიდე კლასში შევა ახალი სახელმძღვანელოები ყველა საგანში. სკოლებში უკვე გადანაწილებულია და მოსწავლეებს ელოდება ახალი მე-7 კლასის წიგნები და აქვე მოგახსენეთ, რომ 1-12 კლაასის სახელმძღვანელოებიც სულ ახალი წიგნებით შევავსეთ....ყველა პირველკლასელი, მათ შორის კერძო სკოლის, მიიღებს ახალ დედაენას და ახალ სასკოლო რვეულებს...

დამტკიცდა ახალი ალტერნატიული სასწავლო გეგმა მძიმე გონებრივი დარღვევების და აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის, რომელიც ექვს საგანში შემუშავდა. ეს არის: ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, ხელოვნება, მუსიკა და ფიზიკური აღზრდა. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ძალიან დაეხმარება სკოლებს მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში. ალტერნატიულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ძალიან მარტივად შეძლებენ პედაგოგები, რომ მძიმე გონებრივი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

– უფრო დეტალურად იქნებ გვითხრათ მეშვიდე კლასში დაგეგმილ ცვლილებებზე?

– მოგახსენებთ, რომ თვითონ პროგრამები შეიცვალა არსებითად. გარდა ამისა, დაემატა ახალი საგანი „მოქალაქეობა„, რომელიც საკმაოდ აქტუალურ თემებს მოიცავს. სამოქალაქო განათლება საბაზო საფეხურზე ამ დრომდე მხოლოდ მეცხრე კლასში ისწავლებოდა, ახლა დაიწყება მეშვიდე კლასიდან, როგორც დამოუკიდებელი საგანი და გაგრძელდება მერვე-მეცხრე კლასებში. საგან „მოქალაქეობაში“ გვაქვს 5 მსხვილი თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ, სასკოლო გარემო, ანუ სასკოლო საზოგადოება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბუნებრივი მემკვიდრეობის და კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ეკონომიკური ურთიერთობები თემში.

გავმეორდები... საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მეშვიდე კლასში ისწავლებოდა კომბინირებული სახით. ასე აღარ იქნება, მეშვიდე კლასში შემოვა ფიზიკა და ბიოლოგია, ხოლო მერვე კლასიდან ქიმია დაემატება.

– რაც შეეხება ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებებს, რას მოიცავს ის?

– ძალიან ბევრი ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები ხორციელდება. ეს შეეხება მოსწავლეთა გამოცდების დანიშვნას, შეფასების სისტემას, იგივე სასკოლო საათობრივი ბადის შედგენისას. თუკი აქამდე გვქონდა მკაცრად განსაზღვრული საათობრივი ბადე, რომელ საგანს რამდენი საათი ეთმობოდა კვირაში და მხოლოდ 25%-ის ფარგლებში შეეძლო სკოლას ლავირება, ახლა ვთავაზობთ სამი ტიპის საათობრივ ბადეს. ერთი იქნება აქამდე არსებული მკაცრად განსაზღვრული კვირეული საათობრივი დატვირთვით, მეორეში მხოლოდ ჯამური საათობრივი დატვირთვა იქნება მოთხოვნილი და სკოლას თვითონ შეეძლება, სემესტრების მიხედვით, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადაანაწილოს საათები კონკრეტულ საგანზე/საგნებზე და მესამე ვარიანტი, როდესაც სკოლა თავად ადგენს ისეთ საათობრივ ბადეს, როგორიც მას სურს.

მეორე და მესამე შემთხვევაში სკოლამ აუცილებლად უნდა წარმოადგინოს არგუმენტაცია, თუ როგორ გადის ის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე. ცხადია, მათ შეუძლიათ ეს ყველა საგანზე გააკეთონ, ან მარტო ერთ საგანზე და მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში.

– სკოლის გამოცდებზე რას იტყვით? რომელი სკოლა რომელ კლასებში ჩაატარებს გამოცდებს და საგანს ვინ აირჩევს? რომელი საგნები ჩაბარდება?

– სკოლაში გამოცდების დანიშვნას წყვეტს თავად სკოლა. ასევე სკოლა იღებს გადაწყვეტილებას, რომელ კლასებში და რომელ საგნებში დანიშნოს გამოცდა. წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს საბაზო და საშუალო საფეხურებზე. საჯარო სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. აღნიშნული არ ეხება იმ საგანს/საგნებს, რომლებშიც სკოლებს გაძლიერებული სწავლების სტატუსი აქვთ მიღებული. სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამოცდის დანიშვნის თაობაზე, რომ მოსწავლეებისთვის ეს წინასწარ იყოს ცნობილი, ასევე წინასწარ უნდა განსაზღვროს, ექნება თუ არა გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე. რაც მთავარია, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნაა, რომ სკოლამ წლიურ გამოცდაზე მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური დავალებები. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხებიანი ტესტების შეთავაზება.

ესგ-ში შესული ცვლილებების თანახმად კლასის გაყოფა დასაშვებია შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე) და უცხოური ენები, თუ სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. ასევე, კლასის გაყოფა დასაშვებია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (სამინისტროსთან შეთანხმებით). გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლებს კი შეუძლიათ კლასი გაყონ იმ საგანშიც/საგნებშიც, რომელსაც აძლიერებენ. გაყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს, ხოლო უცხოურ ენაში – 20-ს. უცხოურ ენებში დასაშვებია განაყოფები დაკომპლექტდეს მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით ან ჯგუფები და განაყოფები დაკომპლექტდეს მეორე და მესამე ენების არჩევანის შესაბამისად.

– როგორც ვიცით ესგ-ში ჩაიწერა საგაკვეთილო საათები სრულ დატვირთამდე, პირველ რიგში, უფროს და წამყვან მასწავლებლებს უნდა გადაუნაწილდეთ – ვალდებულება სკოლებს... ამაზე რას გვეტყვით?

– მართალს ბრძანებთ, პირდაპირ ჩაიწერა ესგ-ში: „საჯარო სკოლა ვალდებულია სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათები პირველ რიგში გაუნაწილოს კონკრეტული საგნის უფროს და წამყვან მასწავლებლებს და კონკრეტულ საგანში საათები შეუვსოს სრულ დატვირთვამდე (15 საათის ჩათვლით), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

I-IV კლასების იმ პედაგოგებს, რომელთაც ფიზიკური აღზრდის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა ან მუსიკის სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება აქვთ, მიეცეთ უფლება ასწავლონ კონკრეტული საგანი დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი (გამოცდით დადასტურებული ან დიპლომირებული სპეციალისტი).„

V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

– დღეს ბევრს საუბრობენ „ახალი სკოლის“ მოდელზე, რას ითვალისწინებს „ახალი სკოლის მოდელი„?

– მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს „ახალი სკოლის მოდელის“ მხრივ. რეალურად ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა და ესგ-თი განსაზღვრული უნარ-ჩვევებზე მუშაობის გადატანა კლასში, თითოეული საგნის ფარგლებში. პროექტში არის ოთხი მიმართულება. მხარდამჭერი ჯგუფები, რომელიც 4 პირისგან შედგება (კურიკულუმის ექსპერტი, ტექნოლოგიების ექსპერტი, ლიდერობის სპეციალისტი და ასისტენტი) შედის სკოლებში. თითო ჯგუფი თითო სკოლაში ქოუჩინგის პრინციპით მთელი სემესტრის განმავლობაში ყოველდღიურ რეჟიმში იმუშავებს.„ახალი სკოლის მოდელი“ გასულ სასწავლო წელს დაიწყო და საქართველოს 50 საჯარო სკოლა იყო ჩართული, წელს კიდევ 100 სკოლა დაემატა, მათ შორის ყვარლის სამი საჯარო სკოლაა ჩართული(შილდის 1, ჭიკაანი და სანავარდო). სკოლები უკვე აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერებით..პროექტი 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება...

– რას გვეტყვით საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი სტატუსის მქონე პედაგოგების პროფესიიდან გასვლის შესახებ, რამდენმა პედაგოგმა დატოვა სკოლა და თუ გამოცხადდა კონკურსი პედაგოგთა შერჩევისთვის?

– წელს უპრეცედენტო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, საპენსიო ასაკის მხოლოდ პრაქტიკოსის სტატუსის მქონე პედაგოგებს, პროფესიიდან გასვლის შემთხვევაში, განათლების სამინისტრომ გარკვეული პრივილეგიები შესთავაზა.. საუბარია 2 წლის ხელფასის ოდენობაზე, რომელსაც პედაგოგი ერთიანად მიიღებს და სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის შენარჩუნებაზე. ის პედაგოგები კი, ვინც გადაწყვეტს, რომ სურს ჯილდოს სანაცვლოდ პროფესიიდან გასვლა შემდეგი პრინციპით უნდა მოქმედებდეს:

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში ექნება:

თუ საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი და აღარც მასწავლებლობის გაგრძელება სურს, მაშინ ის წერილობით მიმართავს სკოლის დირექციას და გადის პენსიაზე, შესაბამისად იღებს ჯილდოს. ყვარლის მუნიციპალიტეტში სულ 71 მასწავლებელი გავიდა პირველ ეტაპზე სისტემიდან.

შემოდგომით თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა აცნობოს განათლების სამინისტროს 2019 წლის ბოლომდე;

თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, რომ აიმაღლოს სტატუსი – ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ 2019 წლის ბოლომდე უნდა განაცხადოს;

სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა;

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ორჯერ ეძლევა შესაძლებლობა, დაადასტურონ მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლონ სტატუსი. ორივე გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაშიც კი მათ შეეძლებათ ისარგებლონ მინიჭებული პრივილეგიით და მიიღონ სახელმწიფო ჯილდო 2019 წლის შემოდგომაზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე – დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

– რაც შეეხება სისტემაში ახალი კადრების შეყვანას....

– მასწავლებლის პროფესიით დაინტერესებული ადამიანებისთვის ახალი სასწავლო წლიდან კიდევ ერთი სიახლე იქნება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მაძიებელთა რეგისტრაციის პროცედურები და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც პროფესიაში შესვლა და კონკრეტული საგნის სწავლება შეეძლება პირს, რომელსაც ამ საგანში მინიმუმ, ბაკალავრის ხარისხი მაინც აქვს.

მაძიებლის სტატუსი მიენიჭებათ ასევე იმ მასწავლებლებს, რომლებიც აქამდე სკოლაში ასწავლიდნენ, მაგრამ უსტატუსოდ იყვნენ დარჩენილები. მათ მაძიებლობის პროგრამის პარალელურად უნდა ჩაბარონ საგნის გამოცდა, გადალახონ 60%-იანი ზღვარი და ამ შემთხვევაში აიმაღლებენ სტატუსს.

როგორც მოგეხსენებათ, მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი პროფესიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგად მუშაობის დაწყების პროცედურებს სახელმწიფო განსაზღვრავს. არსებული რეგულაციებით მასწავლებლის პროფესიაში შესვლა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც დიპლომში ეწერა სპეციალობა – მასწავლებელი და ჰქონდა საგანში გამოცდა ჩაბარებული, ან გამოცდაჩაბარებული და მასწავლებლის 60-კრედიტიანი პროგრამა გავლილი. მაძიებლობის პროგრამა კი ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს უფლებას აძლევს სკოლაში დაიწყოს მუშაობა და პარალელურად, დისტანციურად გაიაროს აკადემიური სწავლების კურსი.

– ვისაც ახლა უნდა სკოლაში მაძიებლად შესვლა, მან რა უნდა გააკეთოს?

– ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ახლა აპირებს დასაქმებას სკოლაში, უნდა გაიაროს რეგისტრაცია მასწავლებლობის მსურველად ამ საიტზე – teacherjobs.ge ან pedagogi.ge – იდენტური საიტებია, თუ მას უკვე აქვს კომპეტენციები დადასტურებული, ან მაძიებლად გაიაროს რეგისტრაცია. მონიშნოს ის სკოლები, რომელშიც მუშაობა მისთვის მისაღებია და დაელოდოს ვაკანსიებს.

– სკოლაში მუშაობის დასაწყებად აუცილებლად ელექტრონული რეგისტრაციაა საჭირო?

– აუცილებლად უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია. სკოლაში საბუთების მატერიალური სახით მიტანით ვერ ჩაერთვებიან კონკურსში.

– ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით რას გვეტყვით.. მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა უპრეცედენტო სიახლეები დაანონსა?

– რეფორმის ფარგლებში, 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტით გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.

სახელფასო ზრდა ასევე შეეხებათ რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებმაც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურა მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას.

გარდა ამისა, მასწავლებლის სურვილის შემთხვევაში, პედაგოგების საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იზრუნებს პრაქტიკოსი საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი გადამზადების პროგრამებით და ამის შემდგომ, განმეორებით მისცემს მათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობას 2019 წლის შემოდგომაზე.

– მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე რას გვეტყვით?

– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყიანი ადგილები სოფლებს შორის, სადაც გარეული ცხოველების საშიშროებაა, მდინარეებზე გადასასვლელები და ა.შ.) წარმოშვა მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება. საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ხორციელდება „საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომელსაც ყვარლის მუნიციპალიტეტი ანხორციელებს, ამ პროგრამის ფარგლებში ტარანსპორტი ემსახურებოდა და 2019-2020 სასწავლო წელს მოემსახურება ყვარლის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის 106 მოსწავლეებს.

– რას გვეტყვით „უსაფრთხო სკოლის“ შესახებ?

– უსაფრთო სკოლის პროგრამის ფარგლებში, ვიცით, რომ შევიდა ცვლილება საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ და კანონის შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრამდე ყველა საჯარო სკოლა აღჭურვილი უნდა იყოს ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი კამერებით...21 საჯარო სკოლიდან 15 სკოლაში უკვე ფუნქციონირებს ვიდეოთვალთვალის კამერები და სამ საჯარო სკოლაში გავაზი, ახალსოფლის 1 და შილდის 1 კი 2019 წლის 9 სექტემბრიდან მანდატურის სამსახური შევიდა....პროგრამა ეტაპობრივად გაგრძელდება

– ახალი რეგულაციის მიხედვით, სკოლების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად ბიუჯეტის განკარგვის ფუნქცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველობებს გადასცა. ზუსტად რას გულისხმობს ეს პროცესი?

– დავიწყოთ თავიდან, პრიორიტეტს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წყვეტს მუცნიპალიტეტი რესურსცენტრთან ერთად. თუ აქამდე, პირობითად, სამინისტროში წყვეტდნენ პირველ და მეორე სკოლას შორის რომელი უნდა გარემონტებულიყო, ახლა ადგილზე რეგულირდება, ეს საქართველოს ხელისუფლების ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელი გადაწყვეტილებაა, რადგან ვფიქრობ, რომ საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის რეაგირება და მოქმედება იქნება გაცილებით სწრაფი და ოპერატიული, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. მთავარია ერთად დგომა და საქმის დიდი პასუხისმგებლობით კეთება. მხოლოდ ასე ვიმუშავებთ ეფექტურად და ჩვენი ახალგაზრდებისათვის ღირსეულ პირობებს შევქმნით.

– და ბოლოს, როგორი გინდათ, რომ იყოს ახალი 2019-2020 სასწავლო წელი?

– პირველ რიგში, მშიდობიანი, წარმატებული, ღონისძიებებით, შეხვედრებით, კონფერენციებით, ტრენინგებით, კრედიტებით, დადებითი შეფასებებით დატვირთული წელი მინდა რომ იყოს.. თვითოეულმა მოსწავლემ, მასწავლებელმა, დირექტორმა და მშობელმა ბოლომდე შეიგრძნოს პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე და გააკეთოს თავისი შესაძლებლობების, თუნდაც მინიმუმი.... ეს საერთო საქმის წინსვლა იქნება, განათლება, ხომ ჩვენი ქვეყნის ქვაკუთხედია და განათლების დონე, პირდაპირ პროპორციულად აისახება ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე....

როგორც არასდროს, დღეს ისე გვჭირდება დაუღალავი შრომა... ყველა პრობლემას ერთ დღეში ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ მდგომარეობას თვალსაჩინოდ შევცვლით. წარმატებას აღწევს ის, ვინც აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე უბრალოდ ევალება.....

უფალმა შეგვაძლებინოს გონიერების გამოჩენა, ... წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს .

ესაუბრა ია გიგიაშვილი

საით გვახედებს ხსოვნის სარკმელი

ჩვენ „კაზარმაში“ ვართ, სადაც ახლა მზიანი ამინდია; გზისპირებზე ბარაქიანად დაუყრიათ ხეებს ჩრდილები, ჭრიჭინობელებიც ისევე ჟივჟივებენ, კაცს ძილი მოერევა. ყვარლის მთები დარაჯად დასდგომია ამ პატარა დასახლებას.

თავგადასავლებით დაღლილი დურუჯი აქ დურაჯივით არ მოფრინავს; წყნარად მოდის, მაგრამ ძალიან ფხიზლად – ჩანს, რომ ბრაზიანია და ღმერთმა არ ქნას გაბრაზების მიზეზი ჩაუგდოს ხელში, თორემ მის ღვარსა და ცოფს ვინ გაუძლებს?

ნისლებით შუბლწაკრული მთები ხშირად აწყნარებენ გიჟ მდინარეს, – დაწყნარდი, საუკუნეებმაც ვერ გასწავლეს ცოდო-მადლი, დაუმეგობრდი ხალხს,შავი კლდე ხომ დაშალე, გეყოფა, კარგი, შავი ფიქრები ჩვენ მოგვანდე და შენი სიავე გაგიქარწყლდებაო.

ამ ფიქრებით შევაბიჯეთ ყვარლის თითქმის მთელი საუკუნის ამბების მცოდნის, სიტყვა-პასუხით, გარეგნობით, ცოდნითა და მანერებით გამორჩეული ქალბატონის, ციალა მაისურაძის სახლის ეზოში. გავოცდით, ყვავილთა სიმრავლემ თვალი მოგვჭრა, ნაირნაირი ფერებით ყვავოდა ირგვლივ ყველაფერი. სახლში შესულებსაც მასპინძელთან ერთად ყვავილები შემოგვეგებნენ. მასპინძელმა როცა სახეზე გაოცება შეგვამჩნია, ასეთი რამ გვითხრა: „ეს ყვავილები ჩემი მეგობრები არიან, მათ მოვლაში ვპოვებ სიმშვიდეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დარდს მხოლოდ ამათთან ვიქარვებ. უხილავი ძაფით ვარ დაკავშირებული ბუნებასთან, უთქმელად გვესმის ერთმანეთის.

ქალბატონი ციალა არაჩვეულებრივი მასპინძელი აღმოჩნდა. მისთვის მამას – გენერალ ასლანიშვილის ნდობით აღჭურვილ პიროვნებას – ზაქარია მაისურაძეს, იაპონიისა და თურქეთის ომებში გამობრძმედილ კაცს, ღრმა, ზოგადი ცოდნა მიუცია, ხოლო დედას ნინო (ნუცა) გოგოლაურს სათნოება, სიკეთე, მეოჯახეობა, ქალურობა ჩაუნერგია მისთვის და ადამიანთა მოსიყვარულე გული ჩაუდგამს საგულეში, ესაა მიზეზი იმისა, რომ ასეთი სიყვარულით საუბრობს თავის პირველ მასწავლებელზე – ანტონ მეტრეველზე. ასევე – ანეტა ზახაშვილის, თამარ იახტნიშვილის, გიორგი იმერლიშვილისა და ანეტა ზაუტაშვილის შესახებ.

სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ციალამ გულითადი და შეუპოვარი შრომა დაიწყო. იგი, მეფრინველეობის ფერმის მუშაკი, წელინადში 3000 წიწილას ზრდიდა და ამავე ფერმის გამგის, ლია სამიტაშვილის მარჯვენა ხელიც იყო.

შემდეგ ნიჭიერმა ქალმა დაუსწრებლად ისწავლა ქალაქ ლიობეცკში მეფუტკრეობის განხრით. თავისი ცოდნითა და გარჯით სასწაულ შედეგებს მიაღწია. 80 სკას უვლიდა, ვალდებულება იყო 400 ჩარჩოს მომზადება, ის კი 800-ს ამზადებდა, გეგმით 50 კილოიანი 14 ბალონი თაფლი უნდა მიეღო, ის კი 28 ბალონ თაფლს იღებდა. შრომა დაუფასდა. იგი მრავალი ჯილდოსა და მედლის მფლობელია. ბოლოს მოსკოვშიც იქნა მივლინებული „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, საიდანაც დაბრუნდა სიამაყის გრძნობით აღვსილი, რადგან იქ ქალაქ მიუნხენში გასაგზავნად შეარჩიეს.

ციალა მაისურაძემ თავისი ბედი დაუკავშირა მოხევე შოთა სუჯაშვილს. მათ ისეთი ოჯახი შექმნეს, რომ ქვეყნის პირველი პირებიდან დაწყებული, დამსახურებული პროფესორ-მასწავლებლებით, ექიმებითა და ყვარლის რაიონის ყველა ცნობილი პირით დამთავრებული – ყველა სიამოვნებით სტუმრობდა მათთან.

მოგონებებით დატვირთული მასპინძელი – ქალბატონი ციალა 9 სექტემბერს 88 წლის შესრულდა. მას საბოლოოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა – შვილი არ აჩუქა განგებამ. თუმცა, მას ღმერთმა საიმედო საყრდენად მოუვლინა თავისივე ახლობელი – მცოდნე, მორიდებული, სიკეთით გულსავსე ახალგაზრდა – ვახტანგ უძილაური თავისი მეუღლითა და პატარა ელისაბედით, რომელსაც დიდი ბებია „ჩემს პრინცესას“ ეძახის.

შეიძლება ზოგი შვილისგან არ იყოს დედა ისე პატივცემული, როგორც ციალა პაპიდას მიმართ არის განწყობილი ვახტანგ უძილაური მთელი თავისი ოჯახით. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი სიყვარული და სათუთი მოპყრობა უხანგრძლივებს სიცოცხლეს ადამიანს.

ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ციალამ გულისტკივილით აღნიშნა: ქართველებმა ერთმანეთის სიყვარული დაკარგეს და რა გვეშველება, მიტევების, თანაგრძნობისა და სიკეთის ქმნის სურვილი გაუქრათ და რაღა გადაგვარჩენსო.

90 წელს მიღწეული ქალბატონი დავარწმუნეთ, რომ ბოროტება დაქრის, სიკეთე კი ჩოჩიალა ურმით დადის, მაგრამ ძალიან ძლიერია, მარადიულია და უნდა გვჯეროდეს იმისა, რომ სიკეთე ყოველთვის დაეწევა, გაასწრებს და დაამარცხებს ბოროტებას.

და ბოლოს, ყვარლის ცოცხალო მემატიანევ, ქალბატონო ციალა, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს. დაე, უფალმა თავისი წყალობის კალთა დააფაროს თავისივე ნაწყალობევ თქვენს გონებას, ოჯახს – თქვენგან დაწყებული დამთავრებული პატარა ელისაბედით.

* * *

ქალბატონ ციალასთან საუბრისას ყველას უნებურად დაგვებადა ერთი კითხვა: ვინ იყო მისი მეუღლე, ვისაც დღემდე მისტირის იგი. შოთა სუჯაშვილი. წარმოშობით მოხევე. რთული ცხოვრების გზა განვლო მან. დაღლილმა, მაგრამ ენერგიით სავსე კაცმა ილიას ნააკვნარში ჰპოვა სიმშვიდე. დაოჯახდა. ცოლად შეირთო ციალა მაისურაძე. ილიას კალმით ნაკურთხი მთების ძირში 52 წლის განმავლობაში სიყვარულით ცხოვრობდნენ ისინი. სამწუხაროდ, შვილები არ ეყოლათ, მაგრამ მათ გულწრფელ სიყვარულსაც ამით არ მისდგომია ჩრდილი.

ყვარელი მშობლიური გახდა ბატონი შოთასათვის. იგი ყოველდღიურად იღვწოდა მის საკეთილდღეოდ. ბატონი შოთა მუშაობდა კაშხალის მშენებლობაზე, რომლის ავტორიც იყო ირაკლი ხერხეულიძე. მშენებლობა საცდელი იყო. მისი არ გამართლების შემთხვევაში პასუხს არავინ აგებდა. ერთხელ, როდესაც დურუჯი განრისხდა და ყვარელს ღამით წალეკვით დაემუქრა, კაშხალმა 700 000 კუბმეტრი წყალი გააჩერა. ყველა ბედნიერი იყო. ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ დაიწერა ვრცელი სტატია სათაურით: „ქალაქს კი მშვიდად ეძინა“.

იგი ასევე მუშაობდა ჩალის გუბის გაფართოებაზე, რომელიც ხუთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ერთხელ წყალმა ჩალის ტბის ორი მილის ფარი გაგლიჯა. სოფლებს წალეკვა ემუქრებოდა, წყლის შეკავების ყველანაირი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ბატონმა შოთამ გამოსავალი მაინც იპოვნა. სხვებთან ერთად ტექნიკის გამოყენებით მოახერხა უზარმაზარი ხეების მოგლეჯვა, რომელთა საშუალებით შექმნა დამცავი ჯებირები და წყალს მიმართულება შეუცვალა. ასე გადაურჩა სოფლები დიდ უბედურებას.

დავინტერესდით ყვარელში დასახლებული მოხევე კაცის დღიურებით. გავოცდით, როდის ახერხებდა იგი წერას. გადავწყვიტეთ, იქ მოთავსებული მასალებიდან ბევრი რამ შეულამაზებლად გავაცნოთ მკითხველს.

14 წლის ბიჭი იყო შოთა სუჯაშვილი, როცა დაიწყო ავადსახსენებელი დიდი სამამულო ომი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი საკეთებელი საქმის სირთულე. ესმოდა: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. სულს კი ძლიერად ჰქონდა დამჩნეული სამშობლო სიყვარული. აი, რას ვკითხულობთ მისი ხელით დაწერილ დღიურში: „გარდასული, გადატანილი ომის საშინელება დღესაც არ აძლევს ჩემს სულს მოსვენებას. კავკასია, დარიალი, მთის სოფლები, მათ შორის სოფელი გერგეტიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მტერს მიზნისათვის არ მიეღწია. ჩაუგებელი უქარქაშო ხმლებითა და მუხლჩაუხრელი შრომით ვზრუნავდით ჩვენი ქვეყნის დასაცავად თუ დასაპურებლად. მზად ვიყავით, ზვარაკად შევწიროდით მზეჩაუქრობელი საქართველოს თავისუფლებას. მოხევეების ზნემაღლობისა და ვაჟკაცობის საზომს წარმოადგენდა სიტყვები: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ დღესაც რომ ექოსავით ხმიანობს ჩემს სულსა და გულში.

14 წლის მოხევე ბიჭმა უფროსების უდიდესი ნდობა მოიპოვა. მისი ოჯახი თანასოფლელებთან ერთად სოფელ გერგეტიდან გადასახლდა კარკუჩაში. იგი დროდადრო ჩუმად ნახულობდა თავის სახლს. ერთხელაც საეჭვო ხმაური მოესმა შენობიდან. მან 40 კილომეტრი ფეხით გაიარა, ჩავიდა ორჯონიკიძეში ვალოდია სუჯაშვილთან, რომელიც მაშინ მილიციის „ოპერი“ იყო. მან ყველაფერი უამბო მომხდარის შესახებ და შესთავაზა თავისი სამსახური სამშობლოს საკეთილდღეოდ. 14 წლის ბიჭს მიეცა დავალება რომ თვალის ასახვევად ემწყემსა ცხვარი და რაციით გადმოცემული მასალა, რომელიც პურის გულში იდო, უნდა წაეღო ლიხის გორისკენ. აღნიშნული დავალების შესრულება მისგან დიდ სიფრთხილეს და საზრიანობას მოითხოვდა. მან ეს შეძლო.

ბატონი შოთას არქივში გარკვეული ადგილი უკავია მასალას ხრუშჩოვის და სტალინის შესახებ. აღნიშნულის გამოქვეყნების სურვილი ჰქონდა მას. ამ სურვილს ვუსრულებთ ბატონ შოთას და აღნიშნულს ვთავაზობთ გაზეთის მკითხველს.

როდესაც ჩეჩნებმა და ინგუშებმა კავკასიის დასაცავად მიმავალი მეომრები ჩახოცეს, ბერიამ მათი განადგურება ბრძანა. სტალინმა გააუქმა ეს ბრძანება და ახალგაზრდა ჩეჩნები და ინგუშები შუა აზიაში გადაასახლა, მოხუცები კი თავიანთ სახლებში დატოვა.

დღიურში ვკითხულობთ: „ომი მოვიგეთ იმ კაცის გენიის წყალობით, რომელსაც ფრანგი მხატვარი პიკასო (იგი წარმოშობით ესპანელი იყო, მაგრამ საფრანგეთში ცხოვრების გამო თავს ფრანგად თვლიდა) 1961 წელს გამოცემულ თავის წიგნში „ფიქრები დიდ ადამიანზე“ ასე ახასიათებდა სტალინს: „მასში თავმოყრილი იყო სახელმწიფო მოღვაწის, იულიუს კეისრის ჭკუა და გონება, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველობის დამაჯერებლობა და აზრის გამოხატვის სისწრაფე. მაგრამ ის ყველაზე გაცილებით მაღლა დგას, ვინაიდან მასშია ყველა ისინი თავმოყრილი და თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი კაცის სახელი დარჩება, ერთი მათგანი უთუოდ სტალინი იქნება“.

გვაპატიოს ბატონი შოთას სულმა, თუ ვერ შევძელით დღიურებში მოცემული ყველა ამბის გაშუქება. ვფიქრობთ, მთავარი სათქმელი მაინც ითქვა.

ჩვენი წამოსვლის დრო ახლოვდებოდა. ქალბატონი ციალა კი კვლავ შთამბეჭდავად გვესაუბრებოდა მეუღლეზე, ბუნებასა და სიკეთეზე. „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, შედეგს ნუ დაელოდები“, – ასე სწამს მას სიკეთის კეთება, მაგრამ, დაგვეთანხმებით თუ ვიტყვით, რომ შედეგი მაინც ყველას გვახარებს, ზოგჯერ აუცილებელიცაა იგი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ქალბატონ ციალასთან სტუმრობისას. მას თავს დასტრიალებდა ახალგაზრდა ქალბატონი თინათინ (მაია) ღუტიშვილი. დავინტერესდით მისი პიროვნებით. აღმოჩნდა, რომ ამ ოჯახის მიერ მისადმი გაწეულმა სიკეთემ იგი ქალბატონი ციალას საიმედო საყრდენად აქცია. „იგი ჩემთვის მეორე დედაა“, – თქვა მაიამ და ისეთი სიყვარულით შეხედა მას, რომ ნათქვამში ეჭვიც არ შეგვპარვია. შემდეგ დასძინა: „ადამიანებმა აუცილებლად ერთმანეთს უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი. პირადად მე არასოდეს დამავიწყდება ყვარლის III საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თანადგომა მაშინ, როცა შვილი (მათი მოსწავლე) მძიმე ავადმყოფი მყავდა. სკოლაში შეგროვილი ფულითა და პროდუქტით სული მოვითქვინ, ამიტომ მინდა მივმართო იმათ, ვისაც ხელეწიფებათ, თესეთ სიკეთე, შედეგს ნუ დაელოდებით. გჯეროდეთ, შეიძლება ცისარტყელის მსგავსად გაიელვოს, მაგრამ მაინც მოვა. თქვენს მიერ დათესილი სიკეთე თქვენსავე შვილებსა და შვილიშვილებს გაუიოლებს „სიძნელეს გზისას“ და თქვენ კი სამუდამო სასუფევლისკენ წინ წაგიძღვებათ „ხორცთ ნაქნარი“.

წამოსვლის წინ ერთი საიდუმლო გაგვიმხილა ქალბატონმა ციალამ: ეხლაც ახალგაზრდული გატაცებით მიყვარს ჩემი მეუღლე და

„როცა უნებურ შევიგრძნობ
დაღლას,
როცა წუხილი სახსრებში
დამშლის,
ფიქრებს დავტოვებ თვალების
მიღმა,
და მის სურათთან მივდივარ
მაშინ“.

აი, ეს არის სიყვარულის უკვდავება, რომლის დასტურადაც ყვარლის საგოდებელში დგას შოთა სუჯაშვილის საოცარი საფლავი მეუღლისგან დიდი სიყვარულით გაკეთებული.

მაია ზარდიაშვილი,
ნინო იშხანიძე, ნინო მიქელაძე,
ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

ფეტვი – უძველესი ქართული მარცვლეული კულტურა

ფეტვი მარცვლეული კულტურაა. დიდი ხნის განმავლობაში ქართველთა სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფეტვს. ამის შესახებ ისტორიული წყაროებიც მეტყველებს.

ივ. ჯავახიშვილის (1930) განმარტებით, ძველ საქართველოში ფეტვი მარცვლეული მცენარეების, ფეტვნაირთა ჯგუფის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მცენარე იყო. „ფეტვ“ იხსენიება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველ ძეგლებსა და საბუთებში.

დაბადების ქართულ თარგმანში ხორბლეულისა და სხვა მარცვლეულის სახელებთან ერთად გვხვდება „ფეტვი“ (ჯავახიშვილი, 1934). ფეტვი მოხსენიებულია ათონის მონასტრის XI ს.-ის, აგრეთვე, ნიკორწმინდის (XI ს.) ხელნაწერებში – „ფეტვ კაბინის“ სახელწოდებით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხში შემორჩენილი თქმულებებით, არსებობდა ფეტვის ოთხნაირი ჯიში:

- წითელი ფეტვი,
- თეთრი ფეტვი,
- ყვითელი ფეტვი
- შავი ფეტვი.

სამეურნეო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თვისებები – გვალვაგამძლეობა და მოკლე სავეგეტაციო პერიოდი ფეტვს სადაზღვევო კულტურის მნიშვნელობას ანიჭებს. საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ამა თუ იმ მიზეზით დაღუპვის შემდეგ, შესაძლებელია დაღუპული ნათესების გადათესვა ფეტვით. ძველ კოლხეთში მიღებული იყო ფეტვნაირების თესლის შენაცვლება: 2 წელიწადს ითესებოდა ფეტვი, შემდეგ ორ წელიწადს – ღომი, მერე ისევ – ფეტვი და ა.შ.

ადრე გაზაფხულზე ფეტვი დიდი რაოდენობით ითესებოდა კახეთის თითქმის ყველა სოფელში. საგაზაფხულო ხვნას საფეტვეების ხვნასაც უწოდებდნენ. ფეტვი ჩვეულებრივ მარტსა და აპრილში უნდა დაეთესათ, რომ აგვისტოს დასაწყისისათვის შემოსულიყო. მომწიფებული მარცვლეულის შესანახად გამოყენებული იყო ორმო და ხარო, ცეხვავდნენ საცეხველით. ფეტვს ფქვავდნენ და აცხობდნენ ფეტვის მჭადს. ზოგჯერ ურევდნენ ხორბლის ფქვილს, აგრეთვე იყენებდნენ საფურაჟედ, საქონლის საკვებად (ჯალაბაძე, 1963, 1986).

XIX ს.-ის პირველი ნახევრის ევროპელი მოგზაურების კ. კოხისა და ო. სპენსერის დაკვირვებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელი მთელი დღის განმავლობაში საზრდოდ იღებს ცოტა ფეტვს, ანუ მჭადს და მაწონს (კოხი, სპენსერი, 1981).

ფეტვის მარცვალში ცილების რაოდენობა მერყეობს 16-19%-ის ფარგლებში. ცილების შემცველობა ყველაზე მაღალია ქართულ ფეტვში (19,1%). ქართული ფეტვი გამოირჩევა, აგრეთვე, ლიზინის მაღალი შემცველობით (6,2-5,5%). მასში მაღალია გლუტამინის მჟავის (12,7-17,7%) შემცველობაც (მაისაია და სხვ., 2005).

ფეტვის ფქვილი სამკურნალოდ იხმარებოდა, როგორც შემკვრელი და სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება (წუწუნავა, 1960; ბაგრატიონი, 1992).

ამჟამად ფეტვი მცირე რაოდენობით ითესება მხოლოდ სვანეთში, საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ცოტა ადამიანმა თუ იცის, რამდენად სასარგებლოა ფეტვის მარცვლები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მცენარეს ხშირად ჩიტების საკენკს უწოდებენ, იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ ამ მცენარის თესლები შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტს, სახელად ლიპაზა (ფერმენტი, რომელიც აკატალიზებს ცხიმების დაშლას ცხიმოვან მჟავად და გლიცერინად), რომელიც აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას და მის საათივით მუშაობას უწყობს ხელს.

ეს ფერმენტი ეხმარება ცხიმების დაშლის პროცესს. ლიპაზას მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია და იგი ამცირებს საჭმლის მომნელებელი სისტემის დისფუნქციას და მუცლის ღრუსთან დაკავშირებული სხვა დაავადებათა სიმპტომებს.

ფეტვის მარცვლების მონელება საკმაოდ ადვილია და მის შემცველობაში შედის სხვადასხვა სახის მცენარეული ცილები.

ფეტვი სასარგებლოა დაბერების წინააღმდეგ ბრძოლის დროს და გვეხმარება პანკრეასის პრობლემების შემთხვევაშიც, აგრეთვე, შიდა ორგანოების, მათ შორის, ღვიძლისა და თირკმელების პრობლემების გამკლავებისასაც.

ამ მცენარეს შესწევს ძალა, თავიდან აგვაცილოს ათეროსკლეროზის საშიშროება, გამოდევნოს ორგანიზმში არსებული ჭარბი სითხეები და დაარეგულიროს სისხლის წნევა.

ზემოაღნიშნულის გარდა, ფეტვის მარცვლები შემდეგი დაავადებების დროსაც სასარგებლოა:

- გასტრიტი,
- კუჭის წყლული,
- ნიკრისის ქარი (პოდაგრა),
- შეშუპება,
- ჭარბი წონა,
- შებერილობა,
- ცელულიტი.

გარდა ამისა, ფეტვი ეფექტურად ებრძვის ღვიძლის ციროზს ჰეპატოციტების და ანთებითი პროცესების შემცირების ხარჯზე.

ადრე ფეტვს „ოქროს ბურღულსაც“ უწოდებდნენ. სპეციალისტების აზრით, ფეტვს შეუძლია ორგანიზმიდან წიდები გამოდევნოს, ამიტომ ფეტვის ფაფის მირთმევა (დღეში 1 თეფში) ძალიან სასარგებლოა. ეს რეცეპტი განსაკუთრებით მოუხდებათ იმათ, ვისაც ორგანიზმის გაწმენდა და წონის კორექცია სურს:

დაგჭირდებათ: 1 ჭიქა ფეტვის ბურღული, 3 ჭიქა რძე ან წყალი, 250 გრამი გოგრა, 250 გრამი სტაფილო, ცოტა ნიახური და ოხრახუში, 2 ჩაის კოვზი შაქარი, ნახევარი ჩ/კ მარილი და ცოტა კარაქი (ან სამარხვო კარაქი). ფეტვის ბურღული 2 საათით წყალში დაალბეთ. გოგრის რბილობი გახეხეთ მსხვილ სახეხზე, გახეხეთ სტაფილო ან დაჭერით პატარა კუბებად. გარეცხილი ოხრახუში და ნიახური 30 წუთით ჩაალბეთ ცივ წყალში, გადაწურეთ. დაჭერით ძალიან წვრილად. ცალკე ქვაბში ჩაასხით 3 ჭიქა წყალი ან რძე, ნამოადუღეთ. დაამატეთ მწვანილი, სტაფილო და გოგრა. უხუფო ქვაბში ხარშეთ 15 წუთი, მაღალ ცეცხლზე, ხშირად ურიეთ.

ამის შემდეგ ჩაამატეთ ქვაბში უკვე გაფუებული ფეტვის ბურღული, დაამატეთ შაქარი და მარილი, 2 კოვზი კარაქი. მოურიეთ, დაახურეთ ქვაბს და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ 20 წუთი, ვიდრე ფაფა ჩასქელდება. გადმოდგით ფაფა და თბილ ადგილას თავდახურული გააჩერეთ, დაახლოებით, 30 წუთით. ვიდრე ამ გემრიელ კერძს მიირთმევდეთ, შეგიძლიათ დაამატოთ ცოტა კარაქიც.

როგორ გამოვიყენოთ ფეტვის მარცვლები (რეცეპტი):

ეს რეცეპტი სისხლში შაქრის დონის დარეგულირებაში დაგეხმარებათ:

ფეტვის მარცვლების მიღება შესაძლებელია ცოტაოდენ წყალთან, სოიოს რძესთან, თაფლთან ან ხილთან ერთად.

1. 5 ს/კ ფეტვს დაასხით 1 ჭიქა წყალი, გააჩერეთ 1 ღამით.

2. დილით გადაწურეთ და დაბლენდერეთ გაფუებული მასა ხილთან ან რძესთან ერთად.

3. ერთგვაროვან მასას დაუმატეთ ცოტაოდენი თაფლიც.

დილით უზმოზე მიიღეთ და მთელი დღე ენერგიით სავსე იქნებით.

ბრინჯის პოპულარობამდე სწორედ ფეტვი იყო აზიის ქვეყნების სუფრის ხშირი საკვები, მოგვიანებით კი ევროპასა და აფრიკაშიც გამოჩნდა. ხელმისაწვდომობის, სარგებლობის და კვებითი ღირებულების გათვალისწინებით მარცვლეული შეუყვარდა ყველას, ვინც ფიზიკური შრომით არის დაკავებული.

თანამედროვე მაცხოვრებლებისთვისაც ფეტვის ფაფა – საუზმის შესანიშნავი ვარიანტია.

ფეტვის ფაფის უარყოფითი მხარე არ უნდა დაგვავიწყდეს. ფეტვის ფაფა რეკომენდებული არაა თუ თქვენ გაქვთ კუჭის პრობლემები (წყლული, გასტრიტი, დაბალი მჟავიანობა). ყოველდღიური გამოყენება მავნებელია ორსული ქალებისა და პატარა ბავშვებისთვის. დიეტოლოგები აღნიშნავენ, რომ ფეტვის ფაფა ზედმეტი მოხმარების შემთხვევაში მამრობით პოტენციალზეც უარყოფით გავლენას ახდენს.

ფეტვის ფაფის რძეზე მოსამზადებლად რეკომენდებულია უცხიმო რძის (დაახლოებით 1% ცხიმი) აღება. ასევე შეარჩიეთ ყვითელი ფეტვის მარცვლები – ის მწარე არაა, სწორედ ამიტომ ფაფას სასიამოვნო გემო ექნება.

ინგრედიენტები

- 1 ჭიქა ფეტვის მარცვლეული
- 2 ჭიქა რძე
- 2 ჭიქა წყალი
- 2 ს/კ შაქარი
- 30 გრ კარაქი
- მარილი გემოვნებით

მომზადება

1. ფეტვის მარცვლეული გაასუფთავეთ, ქვები მოაშორეთ და ნაგავისგან განმინდეთ. შემდეგ ცივ გამდინარე წყალში გარეცხეთ მანამ, სანამ წყალი გამჭირვალე არ გახდება. ამის შემდეგ მდუღარე წყალი გადაასხით.

2. გაწმენდილი ფეტვი ქვაბში მოათავსეთ, წყალი დაასხით და ადუღებამდე მიიყვანეთ. ცეცხლი საშუალო დონეზე დასწიეთ და წყლის შეწოვამდე ადუღეთ. ქაფის მოშორება არ დაგავიწყდეთ.

3. როცა წყალი ბოლომდე აორთქლდება, ცხელი რძე დაასხით და დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. შაქარი და მარილი დაუმატეთ. კარგად აურიეთ, დაახლოებით 20 წუთით ადუღეთ.

4. ცეცხლიდან გადმოდგით და დახურული 10 წუთით დატოვეთ. რძიანი ფეტვის ფაფა მზადაა. მხოლოდ კარაქის დამატება არის საჭირო და შეგიძლიათ სუფრაზე გაიტანოთ. გემრიელად მიირთვით!

თუ ფაფას ბავშვისთვის ამზადებთ, შეგიძლიათ ოდნავ უფრო ბევრი რძე დაამატოთ – კერძი უფრო თხელი გამოვა. უფრო სქელი ფაფისთვის კი 2 ჭიქის ნაცვლად 1.5 ჭიქა რძე გამოიყენეთ.

ამ მარტივი რეცეპტით ფაფა ყოველთვის საჭირო კონსისტენციის გამოვა. თუ ჩირს, კაკალს, გოგრის თესლს და ახალ დაჭრილ ხილს დაუმატებთ, ასეთი კერძი ორმაგად სასარგებლო და გემრიელი იქნება. განსაკუთრებით რეკომენდებულია ბანანის დამატება.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

წყარო: პური ჩვენი არსობისა: წიგნი II /საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა/, ავტ: ფრუიძე ლევან, მაისაია ინეზა, სიხარულიძე შალვა, თავართქილაძე მაია.

მიირთვით მეტი თევზეული, მოემზადეთ ზამთრისთვის!

მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო – ადამიანების გარკვეული კატეგორია ამ პერიოდში თევზის მირთმევას ერიდება და როგორც კი თვეების დასახელებაში „რ“ ასო გამოერევა, თევზეულის სეზონს გახსნილად აცხადებს. მათთვის შემოდგომა ნანატრი სეზონია, რადგან ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ, საყვარელ პროდუქტს უბრუნდებიან. თუმცა, თევზის მირთმევის თვალსაზრისით, ეს სეზონი არა მხოლოდ ამ კატეგორიისთვის არის მიმზიდველი.

როგორც ცნობილია, ორგანიზმს ზამთრისთვის მომზადება სჭირდება. შემოდგომაზე ადამიანები სხეულის ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებაზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც ხილ-ბოსტნეულის, თევზეულისა და სხვა სასარგებლო პროდუქტების მიღებაში გამოიხატება. ზამთარში ორგანიზმს ხშირად უწევს გამკლავება ვირუსების წინააღმდეგ, კანი და თმა სიცივესა და სიმშრალეს ებრძვის.

ორგანიზმის გაჯანსაღებისა და გამდიდრებისათვის თევზი ერთ-ერთი უნიკალური პროდუქტია. ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი, ეს სასარგებლო საკვები ჩვენს რაციონში რეგულარულად უნდა ჩავრთოთ.

თევზის სხვადასხვა სახეობა დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, მისი ერთ-ერთი სასარგებლო თვისება სიმსივნის წარმოშობის რისკის შემცირება და მხედველობის გაუმჯობესებაა. ცხიმიანი თევზი, მაგალითად, სკუმბრია, ქაშაყი, ორაგული და კალმახი – მაღალკალორიულია, მდიდარია ვიტამინით, რომელიც ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებისა და ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ამასთან, ცნობილი ფაქტია, რომ თევზი მეტად სასარგებლო პროდუქტია მხედველობისთვის.

რაც შეეხება პატარებს, ალბათ, ბევრი თქვენგანისთვის დედის მიწოდებული თევზის ქონი ბავშვობასთან ასოცირებული ერთ-ერთი მოგონებაა. თევზის ქონი, ანუ „ნამალი ოკეანიდან“ – სწორედ ასე ეძახიან დანამატს, რომელსაც დედები და ბებიები პატარებს ადრეული ასაკიდანვე აძლევდნენ. პედიატრები მშობლებს ბავშვის კვების რაციონში თევზის შეტანას 8 თვიდან, მცირე ულუფებით ურჩევენ. ბავშვის ზრდისა და განვითარებისთვის სასარგებლო ეს პროდუქტი ჭარბად არის გამდიდრებული ვიტამინითა და კალციუმით. აქედან გამომდინარე, მეტად საჭირო და აუცილებელი საკვებია, მით უფრო ვირუსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სპეციალისტები აქცენტის გაკეთებას ზღვის თევზზე გვირჩევენ, თუმცა ყველა წარმომავლობისა და სახეობის თევზეულს თავისი სასარგებლო თვისებები გააჩნია, ამავდროულად, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია პროდუქტის შენახვისა და რეალიზაციის პირობები. შეიძლება ვფიქრობდეთ, რომ ორგანიზმს სასარგებლო ნივთიერებებით ვამდიდრებთ, სინამდვილეში კი, მავნე პროდუქტს ვღებულობდეთ, რომელიც ვადაგასული, ბინძურ გარემოში იყიდება.

ალბათ ბევრს აინტერესებს, თუ სად შეიძლება ქართულ ბაზარზე მომხმარებელმა თევზეულისა და ზღვის პროდუქტების ყველაზე მრავალფეროვან ასორტიმენტს მიაგნოს, თანაც ისე, რომ პროდუქტი ყველა საჭირო წესის დაცვით მოიპოვებოდეს, მუშავდებოდეს, ინახებოდეს და იყიდებოდეს? ამ მხრივ, ჩემი ფავორიტი ბრენდი „ნიკორას“ შვილობილი კომპანია „ოკეანე“ გახლავთ.

ცოცხალი, შეცივებული და გაყინული, ცივად შებოლილი, დამარილებული, ნახევრად შებოლილი, დაბალმარილიანი თევზეული, ზღვის დელიკატესები, პრესერვები – თითოეული მათგანი იოდით, თუთიით, მანგანუმით,სპილენძითა და სხვა საჭირო ნივთიერებით გამდიდრებული პროდუქტია, რომელიც ჩვენს ორგანიზმს ზამთარში განსაკუთრებით ესაჭიროება.

მომხმარებელთა ნაწილი ცოცხალ თევზს ანიჭებს უპირატესობას. პროდუქტის საკუთარი გემოვნებით მომზადების მიზნით, ისინი უმ თევზს ყიდულობენ და საკუთარი კულინარიული ფანტაზიის მიხედვით ამზადებენ. ალბათ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კალმახი, რომელიც ოზურგეთში – „ოკეანეს“ მფლობელობაში არსებულ მეურნეობაში გამოჰყავთ.

ბაზარზე არსებული თევზეულის ერთ-ერთი კატეგორია პრესერვებია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თევზეულის პრესერვების დამზადება სტერილიზაციისა და პასტერიზაციის გარეშე დაბალ ტემპერატურაზე ხდება, რაც პროდუქტში ცოცხალი თევზისთვის დამახასიათებელი ყველა სასარგებლო თვისების, მინერალებისა თუ მიკროელემენტების შენარჩუნებას უზრუნველყოფს, რაც ასე მნიშვნელოვანია სარგებლის მიღებისათვის.

გრაფიკისა და მოუცლელობის გამო, ზოგიერთი მომხმარებელი არჩევანს მზა პროდუქტზე აკეთებს, როგორიც მაგალითად „ნიკორას“ სუპერმარკეტებშია წარმოდგენილი. მოუცლელი ადამიანებისთვის მისწრებაა მზა თევზეულის ასორტიმენტი, რომელიც წინიბურასთან, კარტოფილის პიურესთან, ან ნებისმიერ გარნირთან ერთად შეგვიძლია მივირთვათ.

როგორც ხედავთ, არჩევანი მრავალფეროვანია. მთავარია, ზამთრისთვის ორგანიზმის მომზადება და თევზის სასარგებლო თვისებებით გამდიდრება მოვინდომოთ.

არ ეწყობა თქვენი ცხოვრება? თქვენ არღვევთ სამყაროს ამ 7 კანონს

ყოველ ჯერზე, როცა ჩვენ ცხოვრებაზე ვწუწუნებთ, უნდა გავიხსენოთ ერთი რამ – ცხოვრება სულაც არ არის უსამართლო, ეს ჩვენ არ ვაკეთებთ რაღაცას ისე, როგორც საჭიროა.

არსებობს 7 მთავარი კანონი, რომელზეც სამყაროა დამოკიდებული. მათი არცოდნა სულაც არ გათავისუფლებთ პასუხისმგებლობისაგან. მათი ცოდნა კი დაგეხმარებათ დაალაგოთ თქვენი ცხოვრება და მიაღწიოთ სასურველ ჰარმონიას.

1) სიცარიელის კანონი

გათავისუფლდით ყველაფერი ძველისაგან, რომ მიიღოთ ახალი. თუ გსურთ ახალი ფეხსაცმელი, გადაყარეთ ძველი. თუ გსურთ ახალი ტანსაცმელი, გამოალაგეთ თქვენი კარადა. სჯობს საკუთარი ნებით დააღწიოთ თავი სტერეოტიპებს. ყველაფერი ახალი მხოლოდ მაშინ მოვა, როდესაც მათთვის საჭირო სივრცეს გამოათავისუფლებთ თქვენ ცხოვრებაში.

2) ცირკულაციის კანონი

იყავით მზად გასცეთ ის, რასაც ფლობთ, რომ მიიღოთ ის, რაც გსურთ.

3) ფანტაზიის კანონი

პირველ რიგში წარმოსახვაში უნდა შესძლოთ წარმატების სურათის აწყობა. აღწერეთ თქვენი იდეალური დღე და არ აჩვენოთ ის არავის იმის გარდა, ვისაც ენდობით. დადეთ ეს აღწერა სამუშაო მაგიდაზე და თავისუფალ დროს გადაიკითხეთ ხოლმე.

4) შემოქმედებითობის კანონი

ადამიანს შეუძლია მიაღწიოს კეთილდღეობას თავისი აზროვნების, წარმოსახვის, ინტუიციისა და ფიქრის ენერგიის წყალობით. ვინც პოულობს და გამოავლენს საკუთარ შემოქმედებით ენერგიას, იმკვიდრებს მისთვის განკუთვნილ ადგილს და როლს ცხოვრებაში. პროდუქტიულობა და შესაძლებლობების რეალიზება დიდი წარმატებისა და სიმშვიდის მომტანია ადამიანისთვის, რადგან არ აწუხებს დანაშაულის შეგრძნება იმის გამო, რომ მისთვის მინიჭებული სასიცოცხლო ენერგია ტყუილად გაფლანგა.

5) მიღებისა და გაცემის კანონი

ყველაფერს, რასაც გასცემთ, დაგიბრუნდებათ ათმაგად. როდესაც სამყაროსაგან რაიმეს საჩუქრად მიიღებთ, გაუზიარეთ ის გარშემომყოფებს. თუ გაქვთ რაიმე განსაკუთრებული მონაცემი, რომლითაც ადამიანებს შეგიძლიათ დაეხმაროთ და მას არ იყენებთ, ამით შეურაცხყოფას აყენებთ თქვენს ღვთაებრივ ბუნებას. ამ უნარებისადმი პატივისცემა გამოიხატება სწორედ უანგაროდ გაზიარებაში. ასეთი ქცევა გაცილებით მეტ კეთილდღეობას მოიზიდავს თქვენს ცხოვრებაში.

6) მეათედის კანონი

მთელი თქვენი მატერიალური და არამატერიალური ქონების მეათედი სამყაროს კუთვნილებაა. ესაა მადლიერების გამოხატვა იმ ყველაფრისათვის, რაც გაგაჩნიათ. ეს მეათედი ბევრნაირი ფორმით შეიძლება დაბრუნდეს უკან – ფულით, ახალი მეგობრების შეძენით, გამოჯანმრთელებით, ვინმესთან შერიგებით.

7) მიტევების კანონი

თუ არ შეგიძლიათ აპატიოთ ადამიანებს, ვერ მიიღებთ თქვენთვის განკუთვნილ სიმდიდრეს. ზიზღით და სიძულვილით სავსე სულში სიყვარულისთვის არაა ადგილი. რაც შეიძლება სწრაფად გათასუფლდით იმ ნეგატიური გრძნობებისაგან, რომლების შინაგანად გჭამენ და არ გაძლევენ მოსვენებას.

mental.ge

ბუდას 27 სიბრძნე, რომლის გაცნობიერება თქვენს ცხოვრებას ცვლის

ქრისტეს შობამდე დაახლოებით VI-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ ინდოეთში გამოჩნდა სულიერი განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომი ბრძენ-კაცი, სახელად სიდჰარტა გაუტამა. მას ბუდა უწოდეს, რაც გასხივოსნებულს ნიშნავს და მისი სწავლება დღემდე პოპულარულია მსოფლიოს ძალიან დიდ ნაწილში.

ბუდას არასოდეს არაფერი დაუწერია, ისევე როგორც ქრისტეს, მისი მეთოდი ვერბალური გახლდათ. მისი სიბრძნე ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და პირველი ჩანაწერებიც მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 400 წლის შემდეგ ჩნდება. ბუდას გასხივოსნება მაშინ მოხდა, როცა გააცნობიერა, რომ სულიერი სიბრძნის შესაძენად სულაც არ არის საჭირო შიმშილი და სხეულის დაკნინება, რაც ასე მიღებული იყო იმ დროის ინდოეთში. როცა პატარა გოგონამ რძე და ბრინჯის პუდინგი მთელი გულით შესთავაზა თანაგრძნობის გამოხატვის მიზნით, ის მიხვდა, რომ აუცილებლად არსებობდა კიდევ სხვა გზაც იმის გარდა, რაც მას ასწავლეს. მაშინ ბუდამ დაიფიცა, რომ სანამ ჭეშმარიტებას არ ჩასწვდებოდა, არ გაინძრეოდა და ასეც მოიქცა – 49 დღის განმავლობაში მედიტირებდა. მისი სწავლებები დღემდე უამრავი ადამიანის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის. გთავაზობთ მის 25 სიბრძნეს:

1. გზა ცაში არ არის, გზა გულშია.
2. ყველაფერი გონებაშია, რასაც ფიქრობ, ის ხდები.
3. ჩვენ ვერავინ გვიხსნის, საკუთარი თავის გარდა, ეს არავის ძალუძს და არც უნდა შეძლოს. ჩვენ თავად უნდა ვიპოვოთ ჩვენი გზა.
4. ყველა ადამიანი საკუთარი ჯანმრთელობის და ავადმყოფობის მწერალი თავადაა.
5. ჩვენ ისევე უნდა ვიზრუნოთ საკუთარი სხეულის ჯანმრთელობაზე, როგორც სულზე, რადგან წმინდა გონება და ჯანსაღი აზრები მხოლოდ ჯანსაღ სხეულში ბუდობს.
6. შენ, ისევე როგორც ყველა და ყველაფერი ამქვეყნად, იმსახურებ შენსავე სიყვარულს.
7. მთავარი მოგზაურობაა და არა დანიშნულების ადგილი.
8. ჩვენ ყოველდღე ხელახლა ვიბადებით და რასაც დღეს ვაკეთებთ, ყველაზე მნიშვნელოვანია. ნუ იქექები წარსულში, ნუ ფიქრობ მომავალზე, ერთადერთი ჭეშმარიტი დრო ანმყოა.
9. ვისაც შეუძლია იფიქროს, მას ყველაფერი შეუძლია.
10. ათას ცარიელ სიტყვას ერთი მშვიდობის მომტანი სიტყვა სჯობს.
11. ნებისმიერ პაექრობაში, როგორც კი ბრაზს ვრძნობთ, იმ წამსვე ჩვენ ვწყვეტთ ჭეშმარიტებისთვის ბრძოლას და ვიწყებთ საკუთარი ეგოსთვის ბრძოლას.
12. ცა არ იყოფა აღმოსავლეთად და დასავლეთად, ეს ჩვენ ვყოფთ ადამიანები გონებაში და მერე თავადვე ვიჯერებთ ამას.
13. შენი მისია შენი სამყაროს აღმოჩენა და მერე ამ სამყაროსთვის საკუთარი თავის მიძღვნაა.
16. მე ვერ ვხედავ რა კეთდება, მე ვხედავ რა რჩება.
17. ნუ აკაკუნებთ ყველა სხვა კარზე, დააკაკუნეთ საკუთარი გულის კარებზე.
18. ჩვენ ფორმას ჩვენი ფიქრები გვაძლევს, ჩვენ ის ვხდებით, რასაც ვფიქრობთ. გონების განწმენდას ჩრდილივით სდევს თან უსაზღვრო სიხარული, რომელიც არასოდეს გვტოვებს.
19. თავად მოიპოვე ხსნა, ნუ დაელოდები მას სხვისგან.
20. თქვენ ვერ იპოვით გზას, თუკი თავად არ გახდით გზა.
21. თქვენ არ დაისჯებით თქვენი ნეგატიური ემოციების გამო, თქვენ დაისჯებით თქვენი ნეგატიური ემოციებით.
22. გრძნობდე ვინმეს მიმართ ბრაზს, ნიშნავს სვამდე საწამლავს და ელოდე, როდის მოინამლება ის ვიღაც.
23. საკუთარი თავის დამარცხება გაცილებით უფრო დიდი გამარჯვებაა, ვიდრე სხვებზე გამარჯვება.
24. თუკი სასწაულის დანახვას შევძლებთ უბრალო ყვავილში, მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრება შეიცვლება.
25. არა აქვს მნიშვნელობა წარსულის სიმძიმეს, შენ ყოველთის შეგიძლია დაიწყო თავიდან.
26. შენ კარგავ, როცა ებღაუჭები.
27. ჭეშმარიტი რელიგია სიკეთეა.

„ნუ დაახარჯავ დროს მას, ვინც მის შენთან გატარებას არ აპირებს“ – გაბრიელ გარსია მარკესის 57 „ოქროს წესი“

ცხოვრებისეული წესები

1. ენდე მას, ვისაც თანაგრძნობა შეუძლია
2. არასოდეს გასცე ბრძანება, თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ შეასრულებენ
3. ოცნებას ვერ შეჭამ, მაგრამ გაგაძღებს
4. ნუ დაატან ძალას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება
5. გახდი უკეთესი და ეცადე გაიგო ვინ ხარ, სანამ ვინმეს შეხვდებოდე იმ იმედით, რომ გაგიგებს

საკუთარი თავის შესახებ

6. „შლაპებს“ არ ვატარებ, რადგან არავის წინაშე არ მსურს ქუდის მოხდა
7. შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს იმად არ იქცე, რადაც სხვები მიგიჩნევენ
8. როცა ვიგრძნობ, რომ მართლა ძალიან ცუდად ვარ, არავის იმედად ყოფნას არ ვაპირებ – თავადვე მოვისვრი თავს სანაგვეზე
9. უსიამოვნო სიურპრიზების არდებას ვცდილობ. ესკალატორს კიბეს ვარჩევ, თვითმფრინავს კი ნებისმიერ სხვა ტრანსპორტს.
10. როცა მეკითხებიან, ყოველთვის სიმართლეს ვამბობ: მეძავებმა არ დამიტოვეს დრო ქორწინებისთვის

ბედნიერების შესახებ

11. არ არსებობს წამალი, რომელსაც შეუძლია განკურნოს ის, რისი განკურნებაც ბედნიერებას შეუძლია
12. გაიღიმე, ნუ ასიამოვნებ უბედურებას
13. ყველას უნდა მთის მწვერვალზე ცხოვრება და ვერც კი ხვდებიან, რომ ბედნიერება ასვლის პროცესია
14. ადვილად მიღწეული ბედნიერება დიდხანს ვერ გრძელდება

სიყვარულის შესახებ

15. ის უძლეველი ძალა, რომელიც სამყაროს ამოძრავებს ილბლიანი სიყვარული კი არა უიღბლო სიყვარულია
16. სუსტები ვერასოდეს შეაღწევენ სიყვარულის სამეფოში. აქ კანონები ძალიან მძიმე და სასტიკია
17. საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა ცხოვრებაში – შიშია, ცოლქმრისთვის – მოწყენილობა. მასთან გამკლავება უნდა ისწავლონ
18. სიღარიბეში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ტყუილებს გაიძულებს
19. თუ გიყვარს, უნდა გაუშვა, თუ შენია დაბრუნდება
20. რადგან მას ისე არ უყვარხარ, როგორც შენ გინდა, რომ უყვარდე, ეს არ ნიშნავს, რომ მას მთელი სულით და გულით არ უყვარხარ
21. არავინ იმსახურებს შენს ცრემლებს და ვინც იმსახურებს, ის არ აგატირებს
22. ამ სამყაროსთვის შესაძლოა ერთი ადამიანი იყო, მაგრამ ერთი ადამიანისთვის – მთელი სამყარო
23. არასოდეს დახარჯო დრო იმ ადამიანზე, ვინც მის გატარებას შენთან არ აპირებს
24. ნამდვილ სიყვარულს თუ შეხვდი, ვეღარასოდეს დაკარგავ
25. ეჭვი შვედურ ასანთს გავს – თავისივე ყუთი ანთებს
26. ყველაზე საშინელი მონატრება, მის გვერდით ყოფნა და იმის გააზრებაა, რომ არასდროს იქნება შენი
27. სადაც სიღარიბეა, იქაა სიყვარულიც
28. ტყუილია, თითქოს ადამიანები აღარ ოცნებობენ, როცა ბერდებიან, ადამიანები ბერდებიან მაშინ, როცა აღარ ოცნებობენ

სექსის შესახებ

29. სექსი ნუგეშია, როცა სიყვარული არ შეგიძლია

სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ

30. მთავარი ის კი არ არის, რაც თავს გადაგხდა, მთავარი ის არის, რა დაგამახსოვრდა და როგორ დაგამახსოვრდა
31. ადამიანები არ იბადებიან ერთხელ, როცა დედა შობს მათ ცხოვრება გამუდმებით აძლევს მათ შესაძლებლობას შვან საკუთარი თავი ისევ და ისევ
32. ყველაფერი ცოცხალია, უბრალოდ სულის გაღვიძება უნდა შეძლო
33. ბედნიერი სიბერე საკუთარ მარტოობასთან შეგუების უნარის ქონას ნიშნავს
34. და უცებ მივხვდი – სიკვდილი ნიშნავს, რომ ვეღარასოდეს იქნები შენს მეგობრებთან
35. ყველაზე დიდი განძი – გქონდეს უნარი უკვე ჩავლილი სიხარულის წუთებზე დანანების გარეშე იფიქრო
36. არ მოკვდე, სანამ არ გაიგებ, რა არის სექსი სიყვარულით

ხელოვნების შესახებ

37. შთაგონება ყოველთვის მუშაობისას მოდის
38. ფიქრებს მშობელი არ ჰყავს – ისინი ანგელოზებივით დაფარფატებენ ირგვლივ და შეგვაფრინდებიან ხოლმე
39. ლიტერატურა საუკეთესო გასართობია, რაც კი ადამიანების დასაცინად მოუგონიათ

ღმერთის შესახებ

40. მთავარი ის კი არაა, გწამს თუ არა ღმერთი, მთავარია, რომ მას არ დაუკარგავს შენი რწმენა
41. ეშმაკს ჩვენთვის ცოდვებში ფეხის ჩადგმევინებაზე მეტად ჩვენი ტვინის არევა მოსწონს
42. არ მწამს ღმერთის, მაგრამ მეშინია მისი

სიგიჟის შესახებ

43. არცერთი გიჟი არ არის გიჟი, თუკი მის არგუმენტებს მოისმენ
44. მშვიდ გიჟებს მოჰყავთ მომავალი

დროისა და მოლოდინის შესახებ

45. მოწვევის ლოდინს სჯობს, შეუფერებელ დროს მიხვიდეთ
46. ვინც დიდი ხანია ელოდება, კიდევ ცოტასაც მოითმენს
47. არასდროსაა ძალიან გვიანი
48. გულის მეხსიერება ცუდს ანადგურებს და კარგს ზრდის

მეგობრობის შესახებ

49. შერიგების წუთი იმაზე მეტი ღირს, ვიდრე გულითადი მეგობრობა
50. საუკეთესო მეგობარი ისაა, ვინც არ არსებობს
51. ნამდვილ მეგობარს შენი ხელი უჭირავს და გულს გრძნობს
52. სულ გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც გულს გატკენენ, მაგრამ ადამიანების რწმენა არ უნდა დაკარგო. ფრთხილად უნდა იყო, მაგრამ მაინც გჯეროდეს მათი

ფულის შესახებ

53. მე მდიდარი არ ვარ, ფულიანი ღარიბი ვარ. რაც სხვადასხვა რამეა.

დასასრულის შესახებ

54. ღმერთი არასწორ ადამიანებს იმიტომ გახვედრებს, რომ ბოლოს სწორი ადამიანები დააფასო
55. არასოდეს შეწყვიტო ღიმილი, მაშინაც კი, როცა მოწყენილი ხარ, რადგან შესაძლოა ვინმეს სწორედ შენი ღიმილი შეუყვარდეს
56. ქორწინება ყოველ ღამეს სრულდება სექსის შემდეგ და დილით საუზმემდე უნდა აღდგეს
57. ნუ ტირი იმის გამო, რომ ეს დასრულდა, გაიღიმე იმიტომ, რომ ეს იყო.

mental.ge

სამი რამ, რისიც ყველა ადამიანს ეშინია – დოსტოევსკის მიხედვით

სრულყოფილი არავინაა ყველა ჩვენგანს აქვს მწარე გამოცდილება, რომელმაც სხვადასხვა ტრავმებითა და შიშებით „დაგვაჯილდოვა“. ცხოვრებაში თითოეულ ადამიანს გარკვეული გამოცდილების შესაძენად ვხვდებით: ზოგს ტკივილი მოაქვს, ზოგს – ბედნიერება. ეს „ნარუმატებელი გამოცდილება“ რაღაცისთვისაა საჭირო. ყოველ გამოცდილებას საკუთარი ღირებულება გააჩნია.

გულახდილი საუბარი ბევრი ნაცნობისგან მომისმენია – ზოგს გულის დაცლა სურს, ზოგი კი უბრალოდ რჩევას ეძებს ან მხარდაჭერას, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ – ყველას რაღაცის ეშინია – ვიღაცას საყვარელი ადამიანის დაკარგვის, ვიღაცა მარტოობაზე ფიქრს გადაყავს ჭკუიდან, ზოგს სიგიჟემდე სურს ბავშვები, ზოგი კი გამუდმებით ფულის ძიებაშია. თითოეული მათგანისთვის ეს პრობლემები სხვადასხვა პუნქტია. ამ კონკრეტული ამოცანების გადაჭრა მათი ცხოვრების მთავარი მიზანი ხდება. არადა, ადამიანის დანიშნულება ცხოვრებით ტკბობაა. ზურგის ქარი ჩვენთვის მაშინ ქრის, როდესაც ცხოვრებით ვტკბებით და არა მაშინ, როდესაც გამუდმებით ვართულებთ მას. დრამაში ნაკლები სიხარულია, მაგრამ ჩვენ უფრო ხშირად ტრაგედიის მონაწილეობა უფრო გვხიბლავს, ვიდრე რეალისტი კომიკოსობა. ფიოდორ დოსტოევსკიმ ოდესღაც თქვა: „არსებობს სამი რამ, რისიც ადამიანთა უმრავლესობას ეშინია: ენდონ, ილაპარაკონ სიმართლე და იყვნენ საკუთარი თავი“. მან თანამედროვე საზოგადოების შიშების კომპონენტები იდეალურად აღწერა:

1. გვეშინია ადამიანთა ნდობის

ყველას თავისი გრძელი გზა აქვს გამოვლილი, რომელიც ღალტით, გამყიდველობითა და იმედგაცრუებებით არის სავსე. ცხოვრებამ კარგი გაკვეთილები გვასწავლა, ასეთი გაკვეთილების მიღება ადვილია, მაგრამ მათგან განკურნება ძნელი. ადამიანთა ნდობა სულ უფრო რთული და მძიმე ხდება. თუმცა ამის სურვილი მაინც არ ტოვებს ადამიანს. ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანებს უფრო ადვილად ვცნობთ და ხშირად მათი განზრახვების წინასწარ ამოცნობასაც ვახერხებთ. მწარე გამოცდილებითა და ცოდნით ცხოვრება რთული ხდება, მაგრამ ის ერთ მთავარ რამეს გვასწავლის – სიბრძნეს. ჩვენს სულს განკურნების საოცარი უნარი აქვს. არ ღირს ადამიანთაგან გარიყვა, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება – გვიყვარდეს და ვუყვარდეთ, მიეცით სამყაროს თქვენი შეცნობის უფლება. ნუ შეგეშინდებათ უცნობებთან გახსნა, შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი ხვალ თქვენი მეორე ნახევარიც აღმოჩნდეს.

2. გვეშინია სიმართლის ლაპარაკის

თითოეულ ჩვენგანს ბავშვობიდან ახსოვს, რომ პატარა ტყუილი მომდევნო უფრო დიდ ტყუილს შობს. ყველა უთქმელ სიმართლეს პრობლემები და თავისი შედეგები მოყვება. „მთელ“ სიმართლეს იშვიათად ვამბობთ, რადგან ზუსტად ვიცით, რომ სიმართლე შესაძლოა ბედნიერი მომავლისთვის წინაღობა აღმოჩნდეს. სიმართლე ყოველთვის გვაიძულებს შემოვლითი გზებით ვიაროთ, უფრო მარტივია გალამაზება, რაღაცის ბოლომდე არ თქმა, ვიდრე დისკომფორტის განცდა პირველი 5 წუთის განმავლობაში. ნებისმიერ ვითარებაში სიმართლის თქმა ისწავლეთ, ნუ მოიტყუებით, უმჯობესია სულ არაფერი თქვათ, ვიდრე იმას დაპირდეთ, რასავ ვერ გაუკეთებთ. შეეცადეთ იმ ადამიანად იქცეთ, ვისაც საფუძვლიანად ენდობიან.

3. გვეშინია ვიყოთ საკუთარი თავი

სამყარომ თამაში გვასწავლა. თამაში ყოველდღიურად და უზადოდ. ჩვენ არ ვაძლევთ საკუთარ თავს უფლებას ყველა გარშემომყოფთან ვიყოთ ის, ვინც ვართ სინამდვილეში. ნიღბები ჩვენი მთავრი აქსესუარი გახდა. „იყავი ის, ვინც ხარ“ – ტრენდია, თუმცა ადამიანთა მცირე ნაწილი თუ აძლევს თავს ამის უფლებას. ჩვენ შეზღუდულები ვართ საზოგადოებრივი შეხედულებებით და ამ შეხედულებებთან ბრძოლის ძალა ყველას არ აქვს. მასასთან შერწყმის მიზნით, ჩვენ უკვე აღარ ვაფასებთ საკუთარ „უჩვეულობას“. ჩვენ უნიკალურები ვართ – როდესაც მარტო ვრჩებით საკუთარ თავთან, მაგრამ ტიპურები სხვების გვერდით. გაიაზრეთ ის, რაც მხოლოდ თქვენ გსურთ. გადადგით ნაბიჯი თქვენი სურვილებისკენ. უფლება მიეცით საკუთარ თავს სხვების გვერდით მოდუნების! იყავით ცოცხალი ყველგან და ყოველთვის! ნუ ფიქრობთ იმაზე, რას იფიქრებენ სხვები, ღრმად ჩაისუნთქეთ და გააკეთეთ ის, რაც ყოველთვის გინდოდათ, მაგრამ გეშინოდათ. უჩვენეთ სამყაროს თქვენი ნამდვილი სახე და სამყარო ახალ ჰორიზონტებს გადაგიშლით.

დრო სუნთქვასავით გარდასული

მერი ჩიხიაშვილი 82 წლის გახდებოდა

ერთი ამოსუნთქვა ყოფილა ჩვენი ცხოვრება. შენც ამ ერთი ამოსუნთქვით იცხოვრე ამ ქვეყანაზე, ჩვენო ფაცი. 16 წელიც უცებ გარბენილა, რაც შენი ოჯახი, შენი თანამშრომლები და შენი ახლობლები დატოვე. საშუალოდ იცხოვრე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ლაღად, იმიტომ რომ გიხაროდა კარგი შვილები რომ გყავდა. მათზე ფიქრში და ოცნებებში ატარებდი დროს, მაგრამ ერთი რამ ყოველთვის გეშლებოდა, – შენი თავისთვის მიგეხედა, შენს ჯანმრთელობაზე გეფიქრა. ერთ იმდენ წელს კიდევ იცოცხლებდი, მაგრამ შენი ავადმყოფობა ულმობელი ყოფილა. დღე არ გავა არ გაგიხსენოთ რედაქციაში შენ, რაფიელი, ავთო, გურამი, ბაკური, გივი, შალვა, ეთერი, სმილვა, ლამარა, ტურფა, გოგია და სხვა რედაქცია-სტამბის თანამშრომლები, ისინი ვინც მთელ დღეებს გაზეთზე მუშაობაში ვათენებდით და ვაღამებდით. სამსახურში დაგვიანება არ გიყვარდა. ერთი ძველი ტახტის კუთხე გქონდა ამოჩემებული, შემოხვიდოდი თუ არა, ჩამოჯდებოდი, დილის რიჟრაჟზე გზისპირებზე მოკრეფილ ლამაზ ყვავილებს შემოიტანდი და საუბარში ხშირად იტყოდი, ვაი მას, ვინც ვერ დაბერდებაო. შენც ვერ მიაღწიე დაბერებამდე, ჩვენო ფაცი.

ხშირად ვკამათობდით ხოლმე ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ შემდეგ ისევ ერთნი ვიყავით.შენი სუსტი წერტილიც ვიცოდით, ერთი სიტყვის თქმა იყო ხოლმე საჭირო და მდგომარეობიდან გამოხვიდოდი, რომ მიხვდებოდი, გაღიმებული გვეტყოდი, თქვე „ციგენბო„, თქვენა-ო. დავიტრაბახებ, რომ მაგარი კოლექტივი ვიყავით, ერთად შეკრული და მხიარული. იუმორების გარეშე კვირაში სამი ნომრის გამოსვლა არც ისე იოლი იყო, – „ნეტავ იმ დროს“.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ყველას გვითხარი, – ერთმანეთს გაუფრთხილდითო. თავადვე ხვდებოდი რა მოკლე ყოფილა ეს წუთისოფელი. შენს მიერ დანერილი სტატიები გაზეთს ყოველთვის ალამაზებდა და ამდიდრებდა. სხვანაირი მანერა გქონდა წერის. მთელი დღე ჟურნალ-გაზეთებში იქექებოდი, ლექსები ხომ შენი ჰობი იყო. ახალ დაწერილ ლექსს ხმამაღლა წაიკითხავდი და იქვე ხდებოდა შეფასება შენი ლექსისა. გურამის მიერ ნათქვამ იუმორზე ხომ მთელი დღე „ვხარხარებდით?“ ისევ... „ნეტავ იმ დროს„, ცოცხალი რომ ყოფილიყავი შენც ასე იტყოდი, – დრო, სანატრელი რომ გაგვიხდა. შენი თეო ხშირად გვეხმიანება ხოლმე, არ უნდა დაივიწყოს რედაქცია, შენი აქ ყოფნის გატარებული დღეები. კარგი შვილები, ლამაზი და განათლებული შვილიშვილები გყავს, ერთ-ერთი შენსავით პოეზიით არის გატაცებული, პატარაობიდანვე მის მიერ დაწერილ ლექსებს რომ სათუთად ინახავდი. მათი დარდი ნუ გექნება. ენატრები ყველას მაგრამ, განსაკუთრებით ერთადერთ დას გიულის, რომელიც შენი ცხოვრების თანამგზავრი იყო ყოველთვის, ჭირსა და ლხინში. ილოცე მაქედან, რომ ყველა კარგად გყავდეს. ერთსაც გეტყვი, ფაცი, ძველებიდან რამდენიმე თანამშრომელიღა შემოვრჩით რედაქციას, ალბათ იმიტომ, რომ თქვენ გაგიხსენოთ, ხოდა, გიხსენებთ კიდეც. ნათელი ედგეს თქვენს სამუდამო სასუფეველს. 5 სექტემბერს 82 წლის გახდებოდი, შენი იუბილეა, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მერი, (ფაცი) შენივე ლექსებით, რომლებსაც ხშირად გვიკითხავდი და თითქმის ვიზეპირებდით კიდეც. თურმე რამდენ ტკივილს დაატარებდი გულით, ამ ლექსებიდანაც კარგად ჩანს.

რედაქციის სახელით დალი ტატუ-ლიშვილი.

* * *

დაგვამუნათა ვიღაც
ავთვალმა,
დავკარგეთ ალღო
დროის და სივრცის,
როგორ გაუძლოს
გულმა მართალმა
განა მარტოდენ
სამას ცხრა სირცხვილს?

დაღლილი სული

დაეძებს ჩეროს,
კომშარს ვერ უძლებს
ღამენათევი,
ნეტავ ვიცოდე,
მამულო ჩემო,
სულ რამდენი გყავს
მართლა ქართველი!

* * *

მე იმ ბავშვს ვტირი,
გაჩენამდე რომელიც მოკლეს.
იმ ალაღ ღიმილს,
ქუჩებმა რომ დაკარგეს ქარში.
ამ წუთისოფელს, გაუტანელს
და ასე მოკლეს,
და ადამიანს, სულგრძელი რომ
მეგონა გუშინ.
იმ ცინცხალ სტრიქონს,
უგზო-უკვლოდ რომ დამეკარგა,
იმ მართალ სიტყვას,
ტყუილმა რომ ცრემლი ადინა,
როცა ვიდექი იმედებით
დაგმანულ კართან,
ცვარს აგროვებდი
მისხალ-მისხალ განთიადიდან.
ვტირი, ქვეყანა მართლა ჩემი
რატომ მეგონა,
და გულქვაობას –
დედის მკერდს რომ დააკლეს ბავშვი,
რომ ვერ ენდობი
ვეღარც ძმას და ვეღარც მეგობარს,
მივტირი ღიმილს,
ქუჩებმა რომ დაკარგეს ქარში.

ჭადარი

მივდივარ ბაზრისკენ,
ჭადრებს ჩავუარე,
შევნიშნე მედუქნე
ჭადარს დანით თლიდა.
ჭადარი ტიროდა,
ცრემლები სცვიოდა,
ციდან წვიმა ცრიდა
და ზედ დასდიოდა.
ვაუკაცს არ ესმოდა
თავისი საწუხარი,
ვეღარ მოვითმინე,
განწყრომით ვუთხარი:
– ჭადარი შენს დაკლულ
ღორში ნუ გეცვლება,
ჭადარს რომ გაახმობ,
ჩრდილიც გაგეცლება.
მან კი შემომხედა
რისხვით და მუქარით
– რაო, შენ ვინ გკითხავს?
ჩემია დუქანი.
დუქანი შენია,
ჩვენია ჭადარი,
კაცის ქუდი გხურავს,
ჭკუა კი სად არის?
მან არ მომისმინა
და კვლავ თლა განაგრძო.
ჭადრების მოსპობა
რა საკადრისია,
ქართველო ვაუკაცო,
კიდევ შევუტიე
– ჭადარს ნუ აწუხებ,
გულში ნუ უმიზნებ
სიკვდილის მარწუხებს.
წაიღო დანა და დუქანს
დაუბრუნდა.
ვაი, საქართველო როგორ
გადაბრუნდა, –
წავიჩურჩულე და წაველ
ფიქრაშლილი,
გზად თან მიმყვებოდა ილიას აჩრდილი,
მყინვარზე გადმოდგა
მოხუცი მდუმარე
თვალთაგან სცვიოდა
ცრემლები მდუღარე.

ნონა ჭიჭიბოშვილი-ჯავარაშვილის გახსენება

გგონია დაგვავიწყდი, გგონია არ გვახსოვხარ, ნონა! სულში ტკივილად ჩაღვრილო და დარდად გაფესვიანებულო. თვალში გვაკლიხარ, გვენატრები, თეთრო ფერიავ! სილამაზის დედოფალო! რა მშვენიერი იყავი! რა ჰაეროვანი! იქნებ იმიტომ დაგვამახსოვრდი ასეთი, რომ დღემოკლეობა იყო შენი ხვედრი! როგორ გიხაროდა სიცოცხლე, დედობა. ერთი სული გქონდა, როდის დაგიძახებდა პატარა ამირანი დედას. არ დაგცალდა. აღარ მოინდომე!

რა დაუჯერებელი იყო შენი სიკვდილი. სულმა ერთი შეკივლება მოასწრო მხოლოდ და დაუჯერებელი სინამდვილე მწარე ტკივილად იქცა.

ნონა! რა სევდიანია შენი სახელი, რა უიმედო, რა წამიერი იყო შენი ცხოვრება. რატომ უარყავი ამქვეყნიური ტკბობა?! გგონია, მზე დაინანებდა შენთვის სხივების შემოფრქვევას, ანდა მთვარე არ გაგინათებდა გზას და არ აგავსებდა იმედებით! მაგრამ შენ მაინც ეს გზა არჩიე. ცივი სიკვდილის, დამთრგუნველის და დამანგრეველის!

ყველას გვტკივა უშენობა. ნაცნობებს, მეზობლებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს. დედას, რომელსაც ცრემლი არ შეშრობია თვალებზე. ნანის (დედამთილს), რომელიც ჩუმი ცრემლით დადის და გულში ღრმა, მოუშუშებელ ჭრილობას ატარებს.

ახლა, როცა წლები გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ხელის კანკალით ავიღე კალამი და შენზე სევდიანი სტრიქონები შემოვხაზე. სიმართლე გითხრა, არ მინდოდა. მინდოდა შენზე მხოლოდ სიცოცხლით გამთბარი სტრიქონები დამეწერა, მაგრამ წუთისოფელმა ასე ინება.

კიდევ კარგი, შენს შეწყვეტილ სიცოცხლეს შენი შვილი ამირანი აგრძელებს. პატარა ამირანი მართლაც ზღაპრული ამირანივით ვაუკაცი და დევგმირია. თუმცა, ის მხოლოდ სურათით გიცნობს, მაგრამ გჯეროდეს, გულის სიღრმეში მასაც ძალიან უყვარხარ და ენატრები.

ნონა, არც მჯერა, თუ ეს ყველაფერი მოგონებაა. მაგრამ იცოდე, დაუვიწყარია შენი სახელი და უკვდავია შენი ლამაზი, სპეტაკი სული.

ნათია სირაძე-კახიძე

ჩვენო მონატრებულო რობა!

რობა გაგაური

მოდის უშენოდ შენი მეორე ტკივილიანი დაბადების დღე. გავიდა ერთი სევდიანი წელი, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ და ვეღარ გვიხალისებ ცხოვრებას, მაგრამ ჩვენს გულებში სამუდამოდ განსაკუთრებული ადგილი გიკავია. ვერ ვეგუებით უშენობას, ვეღარ ვიგებთ შენს ხმას და ვეღარ ვხედავთ შენს მოკრძალებულ ღიმილს.

ჩვენო რობა! შენ იმდენად ვაუკაცური და სილამაზით გამორჩეული იყავი, რომ ბევრს შენი ასაკიც კი არ სჯეროდა. მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვაცალა შენი თავი. 40 წელი იცხოვრე შენი კაცური-კაცობით, სამართლიანობით, პატიოსნებით და ყველას გვერდში დგომით. შენი თავი აკლია შენს სოფელს და სოფლელებს, თვალცრემლიანი გიხსენებს ყველა. ყველაზე მეტად აკლიხარ ჩვენ სანათესაოს და შენს „ტანჯულ დედას„, რომლის თვალზეც ცრემლი არ შრება, რომელიც გეძებს სახლში, გეძებს ხალხში, იქნებ როგორმე იპოვოს თავის შვილის ორეული. შენი ტკივილით გამონვეულ მონატრებას და სიყვარულს იკმაყოფილებს დამრჩენი შვილით, შვილიშვილებით, დისშვილებით და სანათესაოთი.

არ არსებობს მონატრებაზე დიდი ტკივილი და ტანჯვა, რომელიც სამუდამოდ ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად დარჩება. ჩვენს სევდიან გულებში შენი სახელი „რობა“ ყოველთვის გვემახსოვრება.

მსუბუქი იყოს შენთვის მიწა, რომელსაც ყოველთვის სათუთად ეპყრობოდი.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული ცათა სასუფეველში, ამინ.

ოჯახი, ახლობლები.

გამოსათხოვარი

ისაკა ცირიკაშვილი

ჩვენს რიგებს გამოაკლდა და იმქვეყნიურ სამყაროში გადასახლდა ღირსეული ყვარელელი კაცი, ძველ მექანიზატორთა გვარდიის შესანიშნავი და დაფასებული წარმომადგენელი ისაკა ცირიკაშვილი.

იგი იყო ჭეშმარიტი ვაჟკაცი და კარგი მამულიშვილი, სამშობლოზე და მშობლიურ მინა-წყალზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. დიდბუნებოვანი სული, კეთილშობილი პიროვნება, უანგარობა და გულისხმიერება გახლდათ მისი დამახასიათებელი თვისებები, რითაც ასე გამოირჩეოდა სამეგობრო წრეში.

დაიბადა 1950 წელს ყვარელში, აქვე მიიღო საშუალო განათლება. ბავშვობიდანვე საოცრად იზიდავდა ტექნიკა და ტრაქტორისტის სპეციალობა. სწორედ ამ უაღრესად რთული პროფესიის დაუფლება გახდა მისი ცხოვრების მიზანი და ჩამოყალიბდა კიდეც შრომისმოყვარე, უმაღლესი კვალიფიკაციის მექანიზატორად. თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ყვარლის „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გაატარა, სადაც ერთ-ერთი გამორჩეული და დაფასებული მექანიზატორი გახლდათ. ეს ის წლებია, როცა ტრაქტორისტის და ზოგადად მექანიზატორის პროფესია დიდად წახალისებული და დაფასებული, ხოლო კარგი ტრაქტორისტის სახელის დამკვიდრება მეტად საამაყო გახლდათ. სწორედ ასეთი იყო ჩვენი ისაკა, მექანიზატორთა ძველი სკოლის ღირსეული წევრი, ვისი შრომითაც იქმნებოდა ქვეყნის დოვლათი.

მის მიერ განვლილი ცხოვრება კაცური კაცის მიერ განვლილი გზაა, რითაც კანონიერად უნდა იამაყოს მისმა შთამომავლობამ. უბრალო და ალალი მშრომელი კაცის სახით, რომელსაც სწორედ უბრლოება ანიჭებდა განსაკუთრებულ ხიბლს, მისმა სანათესაომ, ოჯახმა, სამეგობრომ და სამეზობლომ დაკარგა თბილი და გულისხმიერი, ჭეშმარიტი კოლორიტი, სხვა ყველაფერთან ერთად საოცარი იუმორისა და მოსწრებული სიტყვის კაცი, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება.

ისაკა ცირიკაშვილი გახლდათ შესანიშნავი ოჯახის პატრონი და მამა. ქვეყანას დაუტოვა სამი შვილი და ორი შვილიშვილი. მისი ქალიშვილი ეკა დღეს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მასწავლებლად მუშაობს ერთ-ერთ სასწავლებელში, ხოლო ვაჟიშვილები დათო და ლევანი ყვარელში მოღვაწეობენ. მეუღლე ქალბატონი თამარი კი, რომელსაც გულწრფელად ვუსამძიმრებთ, ამ დანაკლისის გამო, რჩება ჩვენი წასული მეგობრის ერთგულ დამტირებლად და მისი ხსოვნის სიმბოლოდ.

წავიდა ჩვენი დაუვიწყარი ისაკა, შრომითა და ცხოვრებით დაღლილი, ბოლო წლებში კი გაუსაძლისი სენით შეწუხებული. მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მადლიანი მშობლიური მინა – მინა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად ებრძოდა თავისი ტრაქტორით. ისღა დაგვრჩენია, უფალს შევთხოვოთ, რომ ნათელში ამყოფოს მისი სული. გვჯერა, რომ ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა და მხოლოდ ხსოვნა თუ დაამარცხებს სიკვდილს. ამიტომაც მის სახელს დავიწყებას არ მივცემთ და ყოველთვის გავიხსენებთ ისე, როგორც მისი სუფთა და ალალ-მართალი კაცობა იმსახურებს!

მეგობრები: თამაზ ბუჯიაშვილი, ნუგზარ უძილაური, ავთანდილ ძამაშვილი, იულონ ბაღაღოშვილი, ვახტანგ სარქისოვი

ირაკლი (ილია) შაიშმელაშვილის მონატრება

ჩემო ძვირფასო ძმაო ირაკლი, ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ერთი დიდი ტკივილიანი წელი. უკვე ძალიან გვენატრები. შენ ოჯახი არ გყავდა, შენი ოჯახი ჩვენ ვიყავით – დები, დისშვილები და დისშვილიშვილები. შენ უსაზღვრო სიყვარული დატოვე მათ გულებში, ვინც შენ გიცნობდა. შენ იყავი პოეზიაზე შეყვარებული ადამიანი. შენი სულის ტკივილი გადაგქონდა ლექსებში, ზოგს წერდი გაზეთში, ზოგი გამოუქვეყნებელი დაგრჩა. ირაკლი, ძმაო, დიდი ტკივილი წაიღე იმ ქვეყანაში, რადგან შენი ყველა ოცნება აუსრულებელი დაგრჩა. 64 წლის გახდი,ძმაო ირაკლი, რაც ძალიან ცოტაა ადამიანის სიცოცხლისთვის. იძინე მშვიდად, ჩემო წმინდა სულის ადამიანო. არასდროს დაგივიწყებთ დები, დისშვილები და დისშვილიშვილები. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

ირაკლის პოეზიიდან

გეთაყვანები ღვთისმშობელს წმინდანს

გეთაყვანები ღვთისმშობელს წმინდანს,
მე დედამ მშობა, ღვთისმშობლის ღამეს,
ჩემი სანთელი აენთო შილდას,
სანთლის ალები სწვდებოდა მთვარეს!

შენ ერთს გადიდებ
ღვთისმშობელს წმინდანს,
ჩვენ დავიბადეთ, დიახ, ერთ ღამეს,
ჩემი სანთელი აენთო შილდას,
შენი სანთელი აენთო მთვარეს.

მთვარევ, ღმერთამდე რა მანძილია,
შენგან კი არა, დედამინიდან,
რად არ გაზომა იესო ქრისტემ,
როცა ის ზეცად ამოიზიდა.

ღვთისმშობელი ხარ წმინდა მარიამ,
სწორედ შენ შობე ქრისტე იესო,
არ დაგიკარგავს შენ ქალწულობა,
შენ სული წმინდის მომლოდინესო.

უწმინდესო და უნეტარესო,
ჭეშმარიტებავ, უზენაესო,
შენზედ ლოცულობს ყველა მორწმუნე
რადგან გვაჩუქე ქრისტე იესო!

მამა ღმერთი ხომ ზეცას წავიდა,
შენ აქ იყავი დედამიწაზე,
გამოგიგზავნა მან სული წმინდა,
არ დაგკარგოდა ქალწულს სინაზე.

ქალწულმა შობო უმანკო ბავშვი,
ღმერთმაც იცოდა ეს არს ადვილი,
შენ ღვთისმშობელო გწირავ მადლობას,
რადგან დაბადე ქრისტე ნამდვილი!

შენ ღვთისმშობელო დიდი მადლობა,
მხოლოდ შენ იცი კაცის დანდობა,
მხურვალედ შეგთხოვ, ჩემო მფარველო,
უმრავლე ქართველს შთამომავლობა!

გეთაყვანები ღვთისმშობელს წმინდას,
მე დედამ მშობა ღვთისმშობლის ღამეს,
ჩემი სანთელი აენთო შილდას,
სანთლის ალები სწვდებოდა მთვარეს!

სპორტულ ასპარეზობებზე

ყვარლელი გოგონები მეხუთედ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები

2 სექტემბერს დაბა ურეკში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ქვიშის (პლიაჟის) ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო რიგით მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში.

ჩვენდა სასიხარულოდ ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის ხელბურთელთა ნაკრებმა. მათ დაამარცხეს რა ყველა მეტოქე, ღირსეულად მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეხუთედ.

ჩემპიონატში კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს: თინიკო ქიტესაშვილმა, თამთა თეთრაშვილმა, მარი მიხელიძემ, ანა ფუღიაშვილმა, ანი სურამლიშვილმა, ნათია ამონაშვილმა, მარიამ თავღორაშვილმა, მარიამ სმოიანმა ლიკა აფციაურმა და ხატია ჯიქურიშვილმა (მწვრთნელები: ზურაბ ხარებაშვილი, გოჩა ღონიაშვილი).

მესამე საპრიზო ადგილი კარატეში

25 აგვისტოს თურქეთის ქალაქ რიზეში დამთავრდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატი კარატეში.

აღნიშნულ ტურნირზე ყვარლის სასპორტო სკოლიდან მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა მხოლოდ ერთი სპორტსმენი ჯარჯი ჭერაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო, თავი არ დაუზოგავს და ღირსეულად მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი (მწვრთნელები: მიშა და ხვიჩა ელიოზაშვილები).

მოამზადა ალექსანდრე გიგილოშვილმა

ამერიკაში სწავლის ერთი წელი

ერთი წელი შესრულდა რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამა „ფლექსში“ მონაწილე ჩვენი რაიონის ახალგაზრდები გიორგი ავაზაშვილი და ალექსანდრე გამსახურდია იღებდნენ მონაწილეობას. გამარჯვებული წყვილი ამ ხნის განმავლობაში ეცნობოდა ამერიკული ცხოვრების სტილს, მათ კულტურას და ცხოვრობდნენ ამერიკელ მასპინძელთა ოჯახებში. მათ ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არც თუ მარტივი გზა გაიარეს. სამ ეტაპად ჩატარებული კონკურსი წარმატებით გაიარეს და ასე მოხვდნენ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში. დღეს ისინი უკვე საქართველოში არიან და ერთი წლის განმავლობაში ამერიკაში მიღებული ცოდნის შესახებ ჩვენი გაზეთისთვის ინტერვიუ ვთხოვეთ, რომელიც ყველა ახალგაზრდის და ყველა მომავალი სტუდენტისთვის ვფიქრობთ საინტერესო იქნება.

პირველ რიგში მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს და წარმატებებს მომავლის გზაზე.

– გმადლობთ.

– გიორგი, გთხოვ გვესაუბრო შენი ამერიკული შთაბეჭდილებების შესახებ.

– როდესაც პირველად მიდიხარ ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, თავისებური განცდა გეუფლება ადამიანს. სიმართლე გითხრათ, მეც ვღელავდი, ჩაფრენისთანავე ვიგრძენი მისი განსხვავებულობა: თავაზიანი მომსახურე პერსონალი, მომღიმარი, პოზიტიური სახეები და დადებითი დამოკიდებულება საერთოდ უცნობი ადამიანებისგან. რამდენიმე დღეში, ჩემი ამერიკული მასპინძელი ოჯახის, ამერიკელი მეგობრებისა და ამბიციურობის საშუალებით მაქსიმალურად დავიწყე საკუთარი თავის გამოხატვა, რაც შემდგომში ბევრ რამეში, უფრო მეტად კი საკუთარი თავის რეალიზაციაში დამეხმარა. შემიძლია ვთქვა, ნამდვილი თავისუფლების გემო აშშ-ში ყოფნამდე არასდროს ვიცოდი.

– რომელ ქალაქში სწავლობდი, რა შედეგი მოგცა იქ მიღებულმა ცოდნამ, როგორი სწავლება გაიარე, რაიმე სირთულეები ხომ არ შეგხვდა ამ ხნის განმავლობაში.

– თავიდან პატარა თაუნში – „პალმერ ლეიკში“ ვიცხოვრე, კოლორადოს შტატში. შემდეგ „კოლორადო სპრინგსში“ გადავედი, შედარებით დიდ ქალაქში. ამით ორ ძალიან კეთილ და მზრუნველ მასპინძელ ოჯახთან შევძელი დაახლოება, ერთის ნაცვლად.

თავად კოლორადო ძალიან უსაფრთხო, მწვანე, სუფთა შტატი იყო. „ბაპტისტ როუდიდან“, სუფთა ჰორიზონტზე ყოველდღე ვუყურებდი მაღალ „როქის“ მთებს, რომელიც საქართველოს და ყვარელს მახსენებდა. ამ ყველაფერთან ერთად, კოლორადოში ძაღლების დიდად მოყვარული საზოგადოება იყო, რაც მე უფრო ბედნიერს მხდიდა. სკოლა და განათლება ყველაზე კონტრასტულ საკითხად მიმაჩნია ჩემი ამერიკული გამოცდილებიდან.

ცივი,ძველი, (ცოტა კომუნისტურიც, ხელოვნური და ფორმალური სწავლის მეთოდები (გარემოსთან ერთად) თავისუფალმა, დასავლურმა, ეფექტურმა მეთოდებმა ფუძიანად ჩაანაცვლა.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის მხოლოდ სტატუსები წარმოადგენდა ურთიერთობის ბარიერს. ეს ორი ერთმანეთს თანაბრად სცემდა პატივს, თანაბრად ზრუნავდა გარშემო მყოფების კომფორტზე და ინაწილებდა დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მეგობრობა მასწავლებლებთანაც ისე შეგეძლო, როგორც მოსწავლეებთან, უპატივცემულობა მასწავლებელთანაც პრობლემებს შეგიქმნიდა და მოსწავლეებთანაც.



სწავლა ორიენტირებული იყო ათვისების, კომუნიკაციის, მრავალფუნქციურობის და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე. სკოლაში ყოფნას სტრესის და დაღლის ნაცვლად ხალისი მოჰქონდა.

საგნებში ძალიან დიდი არჩევანი იყო. რაც მთავარია, თავად გქონდა არჩევანი, რა საგნის სწავლა გსურდა. რთულ აკადემიურ და სამეცნიერო საგნებთან ერთად სპორტი და სხვა სახალისო საგნები (მაგ. იმპროვიზაცია, კერამიკა, ხეზე მუშაობა, კინომატოგრაფია და ა.შ.) შესანიშნავ დღიურ გრაფიკს ქმნიდა. მოკლედ, სკოლაში არასდროს მოიწყენდი, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდები დილის 7:40-დან შუადღის 2:52-მდე გრძელდებოდა. დღის განმავლობაში ოთხი პერიოდი გვქონდა. სულ – რვა. ოთხი სხვადასხვა საგანი დღეგამოშვებით. თითო პერიოდი საათი და ოცდაჩვიდმეტი წუთი გრძელდებოდა, 7 წუთიანი შესვენებებით. ორი პერიოდის შემდეგ ლანჩი იწყებოდა, სადაც 1200 მოსწავლე დიდ ჰოლში დიდ ქაოსს აწყობდა. დღის ბოლოს ზოგი თავისი, ზოგიც – მეგობრის მანქანით ტოვებდა სკოლას. დანარჩენები ყვითელ სკოლის ავტობუსს ელოდებოდნენ (ზუსტად ისე, როგორც ფილმებში).

პირველი კვირები სწავლა მიჭირდა. ხან სიტყვა არ მესმოდა, ხან წინადადება, ხანაც უბრალოდ დავალების სიდიდეს, სირთულეს ვერ ავუდიოდი, მაგრამ ერთი თვის მერე, ძალიან სწრაფად მოვერგე ჩემს ახალ გარემოებებს და გამოწვევებს. ნელ-ნელა ყველაფერი რიტმში ჩაჯდა და როცა ყველაფერი გამარტივდა, თვეებმა დღეებივით დაიწყო სვლა.

საქართველოში ჩამოსვლისას „შავ ხვრელში“ აღმოვჩნდი. ცოტა გაურკვევლობა, შეცვლილი კულტურა, შეცვლილი შეხედულებები და ა.შ. თან ყველა ივენთი თითქოს ერთდროულად მოხდა. სკოლა ისე დავამთავრე, ბოლომდე კიდევ ვერ ვიაზრებ. გამოცდები, მომავალზე ფიქრი, ურთიერთობები (ძველი და ახალი), ბანკეტი, ახალი გატაცებები... ყველაფერი ერთდროულად.

– დღეს რა საქმიანობას ეწევი?

– სანამ უნივერსიტეტში დავიწყებ სწავლას და ცხოვრებას, კიდევ ერთ ახალ ეტაპზე გადავალ, მანამდე, როგორც უკვე ამერიკულ კულტურასთან ასიმილირებული, სკეიტბორდინგით ვარ დაკავებული. ეს სპორტი ჩემს არეალში ძალიან პოპულარული იყო (განსაკუთრებით თინეიჯერებში) და მეც ძალიან მიმიზიდა. მეგობრების შესაძენად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, თან სახალისოც (განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში).

– შენი სამომავლო გეგმები და სურვილები.

– სამომავლოდ საკუთარ თავს არქიტექტურის და ურბანისტული დიზაინის სფეროში ვხედავ, მაგრამ ზუსტად ვერასდროს ვამბობ. ყოველთვის ვპოულობ რაღაც ახალს, რაც ძველზე უფრო მეტად მაინტერესებს ხოლმე. ვნახოთ...

გიორგი, გისურვებ წინსვლას და წარმატებებს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, იმ ჩანაფიქრების განხორციელებას, რომელიც სულითა და გულით გინდა რომ ისე იყოს.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

მობილურ ტელეფონს არასწორად მუხტავთ – ყველაზე გავრცელებული შეცდომები და 8 რჩევა სპეციალისტისგან

მობილური ტელეფონი დღეს მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებას არ წარმოადგენს, მისი მეშვეობით შეგვიძლია ვირტუალურად ვიმოგზაუროთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ვუსმინოთ მუსიკას, ვუყუროთ ფილმს თუ კლიპს, ვითამაშოთ, ვიყოთ სოციალურ-ქსელებში, წავიკითხოთ სიახლეები და ა.შ. თუმცა ხშირად გვეშლება ხელი მისი მოხმარების პროცესში, ელემენტის მოულოდნელი დაცლით. ამასთან, რამდენიმე თვის შემდეგ ახლად შეძენილი ტექნიკა ნელა მუშაობას იწყებს და მისი მდგომარეობა უარესდება. ეს ყველაფერი კი ჩვენი ბრალია!

გაგაცნობთ იმ შეცდომებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვუშვებთ ტელეფონებთან მიმართებაში. თუ მათ გაითვალისწინებთ, შემდგომში პრობლემების თავიდან აცილებას შეძლებთ.

1. სმარტფონების დამუხტვას 100%-ით ასრულებთ?

Battery University-ს საიტზე, რომელიც აკუმულატორების მწარმოებელი კომპანია Cadex-ის მიერ არის შექმნილი – დეტალურადაა აღწერილი სმარტფონებში გამოყენებული ლითიუმ-იონური აკუმულატორის ე.წ. სტრესი. ადამიანის მსგავსად, გამუდმებულ სტრესზე ელემენტიც რეაგირებს სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებით.

საუკეთესო სადენები, გადამყვანები ღ-ისგან

მომხმარებლების უმეტესი ნაწილი, ტლეფონს 100%-ით მუხტავს, თუმცა როგორც ექსპერტები მოგვიწოდებენ, უფრო დიდხანს რომ შევინარჩუნოთ მუხტი, საჭიროა, ელემენტი დატვირთული იყოს 30%-დან 80%-მდე.

„თუ აპირებთ, ტელეფონი ბოლომდე დამუხტოთ, ღამით შეაერთებთ დამტენზე და დატოვებთ შეერთებულს რამდენიმე საათის განმავლობაში, ამას უარყოფითი შედეგი ექნება ელემენტზე“, – ამბობს გერმანული კომპანიის BatterieIngenieure-ის დირექტორი, დომინიკ შულტე გამოცემასთან Business Insider.

დამუხტეთ ტელეფონი, სანამ იგი 0%-ს მიაღწევს. ახალი, თანამედროვე ტელეფონების ელემენტებს არ აქვთ მეხსიერების ეფექტი. ასეთი მეთოდით მისი დამუხტვა გააუმჯობესებს ელემენტის მდგომარეობას და იგი იქნება ბევრად უფრო ეფექტური. მწარმოებლები, როგორც წესი, ელემენტის სიცოცხლის გარანტიას იძლევიან საშუალოდ 400-დან 600 ციკლამდე. თუ კი ამ მეთოდით დამუხტავთ ელემენტს, მისი ციკლი გაიზრდება 1000-მდე.

ყოველ სამ თვეში დააჯინეთ ელემენტი 0%-მდე და შემდეგ დაუყოვნებლივ დამუხტეთ. ეს მეთოდი გაახანგრძლივებს მის სიცოცხლეს.

2. მთლიანად დამუხტულ ტელეფონს დენის წყაროში ტოვებთ?

როცა სმარტფონი მთლიანად არის დატენილი, ნუ დატოვებთ მას დენის წყაროში ჩართულს. Cadex-ის მონაცემებით, უკვე დატენილი ტელეფონის ენერგიის წყაროში ჩართული დატოვება, როგორც ამას ღამე ხშირად ვაკეთებთ, აკუმულატორს აზიანებს. როცა ტელეფონი 100%-ით იმუხტება, იგი იწყებს ელექტრობის მიღებას მცირე იმპულსებით, რომლებიც ეხმარება მუხტის დონის მაქსიმუმზე დაჭერაში.

ამგვარად, ელემენტი ამ დროს სტრესულ სიტუაციაში იმყოფება, ეს კი აკუ-მულატორს აფუჭებს. ამიტომ, როცა ტელეფონი მთლიანად დაიტენება, გა-მორთეთ დენის წყაროდან.

3. ბოლომდე ცლით ტელეფონის ელემენტს?

თუ თქვენ ბოლომდე ცლით ტელეფონის ელემენტს, რათა შემდეგ დამუხ-ტოთ, ესეც მცდარი მოქმედებაა, რადგან უმჯობესია, ელემენტის მუხტი 30%-80%-მდე აბალანსოთ, თუ მოხდა გამონაკლისი, უფრო ნაკლებიც – შეგიძლი-ათ დამუხტოთ ის, თუმცა ნუ დაცლით მას ბოლომდე. ბოლომდე დაცლილი ელემენტის დამუხტვა მხოლოდ 1-2 თვეში ერთხელაა დასაშვები.

4. ელემენტი გადაახურეთ?

მაღალი ტემპერატურა სმარტფონის ელემენტზე უარყოფითად მოქმედებს, ოპტიმალური ტემპერატურა 1-35 გრადუსამდეა.

5. სპეციალურ „ბუდეში“ ჩასმულ მდგომარეობაში მუხტავთ?

უმჯობესია, თუ დამუხტვის პროცესში სმარტფონს ბუდიდან ამოიღებთ, რადგან ის ელემენტის გადახურების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86